

## წინასიტყვაობა

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კვლევების გაერთიანებულ ანალიზს, რომელიც ასახავს საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს პრობლემებსა და გამოწვევებს მცირე და საშუალო ბიზნესის კუთხით. აღნიშნული პუბლიკაცია ასევე მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილებასა და საქართველოში განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებს. იგი შემუშავებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში. პროექტი ხორციელდება საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსისა და USAID-ის დაფინანსებით.

ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო განაპირობებს ეკონომიკის ზრდისა და კერძო სექტორის განვითარების ტემპებს. საქართველოს ეკონომიკური გარემო ყოველწლიურად ფასდება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები ძირითადად ეფუძნება ანგარიშებს, ახალ კანონებსა და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს. ამ შეფასებების უკან არ დგას უშუალოდ მეწარმეების მოსაზრებები და კონკრეტული პრობლემები. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნესგარემოს შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას თავად ქართველი ბიზნესმენები ფლობენ. ეკონომიკურად აქტიური ეს ადამიანები ყველაზე კარგად იცნობენ და აფასებენ არსებულ ბიზნესგარემოს.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ ჩაატარა სხვადასხვა ტიპის კვლევები საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს შეფასების, ასევე აქტუალური და პრობლემური საკითხების გამოვლენის მიზნით.

პუბლიკაცია შემუშავებულია პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების საფუძველზე: ფოკუს-ჯგუფი მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობით; ბიზნესმარეგულირებელი კანონმდებლობისა და ბიზნესის განვითარების პროგრამებისა და პროექტების ანალიზი და მიმოხილვა; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებისა, პროექტების და საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა და რაოდენობრივი კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 500 მცირე და საშუალო ზომის საწარმო საქართველოს მასშტაბით.

## შინაარსი

|                                                                                      |    |
|--------------------------------------------------------------------------------------|----|
| პროექტის შესახებ .....                                                               | 5  |
| მცირე და საშუალო ბიზნესის განმარტებები - საქართველო და სხვა ქვეყნები.....            | 9  |
| მცირე და საშუალო ბიზნესი – ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები .....                  | 13 |
| მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევის შედეგები.....                                      | 17 |
| ჩატარებული კვლევების აღწერა და მეთოდოლოგია .....                                     | 17 |
| ფოკუს-ჯგუფის შედეგების მიმოხილვა.....                                                | 18 |
| რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი პრობლემები .....                   | 19 |
| რაოდენობრივი კვლევის შედეგები.....                                                   | 22 |
| ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა.....                                | 36 |
| საწარმოს რეგისტრაცია .....                                                           | 36 |
| ლიცენზიები და ნებართვები.....                                                        | 36 |
| საბაჟო ადმინისტრირება.....                                                           | 39 |
| საგადასახადო ადმინისტრირება .....                                                    | 42 |
| მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა – საერთაშორისო გამოცდილება.....                 | 48 |
| საქართველოში მიმდინარე სახელმწიფო რეფორმების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე ..... | 54 |
| საერთაშორისო პროგრამები და პროექტები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის..... | 67 |
| საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და განვითარების შეფასება.....                        | 76 |

## პროექტის შესახებ

ძირითადი ინფორმაცია

**პროექტის დასახელება:** „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა“, ბიზნესსაკონსულტაციო ქსელი საქართველო

**პროექტის განხორციელების პერიოდი:** მარტი, 2009 - ივლისი, 2009.

**პროექტის განხორციელების ადგილი:** საქართველო

**პროექტის მიზანი:** მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა კონსულტაციებისა და ტრენინგების გზით. ასევე, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის შესწავლა, ამ სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიკაცია და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

**პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები:**

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდება:

1. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელთარსებული ინფორმაციის თავმოყრა და ანალიზი;
2. სატელეფონო კვლევა 500 მცირე და საშუალო საწარმოში;
3. ფოკუს ჯგუფი სხვადასხვა სექტორში დასაქმებული მეწარმეების მონაწილეობით;
4. სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით;
5. ანგარიში მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის შესახებ;
6. ანგარიშის პრეზენტაცია.

**პროექტის ბენეფიციარები:** მეწარმეები და ოფიციალური პირები, რომლებიც მონაწილეობენ ბიზნესგარემოს ფორმირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ბიზნესის განვითარება, თავისუფალი კონკურენციის ფორმირება დამოკიდებულია გარემოზე და უშუალოდ ბიზნესმენის მეწარმეობრივ უნარ-ჩვევებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული ფულადი და ადამიანური რესურსების და მათზე კერძო სექტორის ხელმისაწვდომობის ხარისხი. საკანონმდებლო

რეგულირება შესაძლოა იყოს ლიბერალური, მაგრამ ვერ ან რთულად ხერხდებოდეს მისი ადმინისტრირება. ბევრს საუბრობენ თვითონ სამეწარმეო უნარების განვითარების არცთუ მაღალ დონეზე. მაგალითად, საქართველოში კვლავაც ნაკლებად ხდება მომხმარებელზე ორიენტაცია ან/და მეწარმეები არ ფლობენ შესაბამის უნარებს, როგორ მოახდინონ სწორი კომუნიკაცია მიზნობრივ ბაზრებთან და შესაბამისად იყენენ მაღალკონკურენტუნარიანები.

ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო განაპირობებს ეკონომიკის ზრდისა და კერძო სექტორის განვითარების ტემპებს. საქართველოში არსებული ეკონომიკური გარემო ყოველწლიურად ფასდება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები ძირითადად სხვადასხვა ანაგრიშებსა და მიღებულ ახალ კანონებსა თუ საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს ეფუძნება. შეფასებების უკან არ დგას უშუალოდ მეწარმეების მოსაზრებები და კონკრეტული პრობლემები. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნესგარემოს შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას თავად ქართველი ბიზნესმენები ფლობენ. ეკონომიკურად აქტიური ეს ადამიანები უფრო კარგად იცნობენ და აფასებენ არსებული გარემოს სხვადასხვა მხარეს.

სწორედ ზემოთაღნიშნული გარემოებების გამო საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსისა და USAID დაფინანსებით 2007 წლის მარტიდან ჩაერთო მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროექტში.

პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნა ბიზნესსაკონსულტაციო ქსელი-საქართველო (BCNG), რომელიც აერთიანებს 6 ოფისს საქართველოს მასშტაბით - თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ზუგდიდსა და თელავში; თბილისისა და ქუთაისის საკონსულტაციო ცენტრები შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ბაზაზე.

ქსელი განსაკუთრებულად ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე; კლიენტებთან ურთიერთობა ემყარება კვალიფიციურ სერვისს, მჭიდრო კავშირებსა და ნდობას.

ბიზნესსაკონსულტაციო ქსელი-საქართველო (BCNG) მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს სთავაზობს მომსახურებას სამი ძირითადი მიმართულებით: ბიზნესკონსალტინგი, ტრენინგები და მარკეტინგული კვლევები. მეწარმეებს შეუძლიათ მიიღონ მომსახურება სხვადასხვა კუთხით - საგადასახადო და საბაჟო

საკითხები, მარკეტინგული დაგეგმვა, ბუღალტრული აღრიცხვა, ბიზნესის დაგეგმვა და მართვა, საწარმოთა რეგისტრაცია, ბიზნესპარტნიორების მოძიება და სხვა.

პროექტის განხორციელების პერიოდში შეიქმნა ვებ-გვერდი [www.bcng.ge](http://www.bcng.ge), რომელიც მოიცავს მეწარმისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას, ასევე სიახლეებს მიმდინარე ტრენინგებისა და სხვადასხვა საგრანტო პროგრამისა თუ ბიზნესწინადადებების შესახებ.

2007 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ბიზნესსაკონსულტაციო ქსელი საქართველოს მომხმარებელბის გამოკითხვა სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულთა გამოსავლენად. ბიზნესგარემოს განვითარების ხელშეწყობაში წვლილის შეტანისთვის და წარმატებული პარტნიორობისთვის ნომინაციებზე წარდგენილნი იყვნენ: კერძო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო სექტორისა და მასმედიის წარმომადგენლები. 2007 წლის 23 დეკემბერს კი ჩატარდა გრანდიოზული ცერემონიალი „ნომინანტების დაჯილდოება ბიზნესგარემოს განვითარების ხელშეწყობისთვის“.

პროექტის ფარგლებში თბილისი კონსალტინგის მიერ 918 კონსულტაცია გაეწია 650 მეწარმეს, ჩატარდა 43 ტრენინგი კერძო სექტორისათვის აქტუალურ სხვადასხვა მიმართულებაზე. ტრენინგის მონაწილეთა სრული რაოდენობა შეადგენდა 852 პირს. ასევე მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო მასალები – ბუკლეტები, პოსტერები და სხვ.

აგვისტოში განვითარებული მოვლენების შემდგომ პროექტში განხორციელდა რიგი ცვლილებები და თბილისი კონსალტინგის ოფისმა დაიწყო „დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის“ პროგრამის განხორციელება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში:

1. გახორციელდა დასაქმების მსურველი დევნილების აღრიცხვა არსებული კვალიფიკაციისა და სამუშაო შესაძლებლობების დადგენის მიზნით; მომზადდა სპეციალური მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსდა ინფორმაცია 5 000-ზე მეტი სამუშაოს მაძიებელი დევნილის შესახებ.

2. მოხდა მოქმედ 556 ორგანიზაციაში არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შესაბამისად, სამუშაოს მაძიებელ პირებთან დაკავშირება.

ამ პროგრამის შედეგად თბილისი კონსალტინგმა ერთმანეთ დააკავშირა 43 კომპანია და 120-ზე მეტი სამუშაოს მაძიებელი იძულებით გადაადგილებული პირი

ამჟამად საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსთან და USAID-თან ერთად ახორციელებს ახალ პროექტს, რომლის ფარგლებშიც მოხდება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის შესწავლა, ამ სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიკაცია და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდება:

1. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელთარსებული ინფორმაციის თავმოყრა და ანალიზი;
2. სატელეფონო კვლევა 500 მცირე და საშუალო საწარმოში;
3. ფოკუს ჯგუფი სხვადასხვა სექტორში დასაქმებული მეწარმეების მონაწილეობით;
4. სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით;
5. ანგარიში მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის შესახებ;
6. ანგარიშის პრეზენტაცია.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა საქართველოს მასშტაბით 500 ბიზნესერთეულის რაოდენობრივი კვლევა. ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუები სხვადასხვა სფეროს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან. რაოდენობრივი კვლევის დასრულების შემდგომ გაიმართა ფოკუს-ჯგუფი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა. შეხვედრებმა გამოავლინეს ბიზნესის აქტუალური პრობლემები, მათ შორის: ბიზნესსაკანონმდებლო ბაზის დახვეწა, ადმინისტრაციული ბარიერები ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობა და სხვ.

## მცირე და საშუალო ბიზნესის განმარტებები - საქართველო და სხვა ქვეყნები

*საქართველო*

2006 წლამდე საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობდა რაიმე ნორმატიული აქტი, რომლიც ერთის მხრივ განსაზღვრავდა თუ რა იყო მცირე და საშუალო ბიზნესი და მეორეს მხრივ განსაზღვრავდა პოლიტიკას ანდა სტრატეგიას ამ ზომის საწარმოების მიმართ.

2006 წელს ცვლილებები შევიდა კანონში “ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ” და აღნიშნული კანონით (მუხლი №3 - ტერმინთა განმარტებები) დადგინდა განმარტებები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. კერძოდ:

მ) მცირე საწარმო - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა – 500 000 ლარს;

ნ) საშუალო საწარმო - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 100 დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა – 1 500 000 ლარს;

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ განმარტებებს არ მოეწოდება რაიმე მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, აღნიშნულ კანონშიც მხოლოდ ტერმინთა განმარტებაშია ნახსენები ასეთი მცნებები, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას რომ ჩანაწერი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად ხდება ბიზნესის ზომების რანჟირება, თუმცა ზილითადად მაინც ყურადღება ექცევა საწარმოს ბრუნვასა და დასაქმებულთა რაოდენობას, რომლიც ხშირად სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სექტორების მიხედვით.

მაღაიზია

მაღაიზიაში სხვადასხვა სააგენტოები იყენებენ SME-ს სხვადასხვა მნიშვნელობებს, რაც დამოკიდებულია მათ ბიზნეს-ინტერესებზე. თუმცა არსებობს ერთი საერთო დეფინიციაც მცირე და საშუალო ინდუსტრიების განვითარების კორპორაციის (SMIDEC) მიერ წამოდგენილი, რომელიც SME-ს განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტორის მიხედვით, ყოველწლიური გაყიდვების ბრუნვასა და მთლიან განაკვეთზე მომუშავე მუშების რაოდენობის მიხედვით.

SMIDEC-ის მიხედვით

**საშუალო ბიზნესი არის:** „ბიზნეს დაწესებულება ყოველწლიური გაყიდვების ბრუნვით RM10 მილიონსა და RM25 მილიონს შორის, სადაც მუშაობს 150-ზე მეტი პერსონალი მთლიანი განაკვეთით.“

**მცირე ბიზნესი არის:** „ბიზნეს დაწესებულება სადაც ყოველწლიური გაყიდვების ბრუნვა არის RM10 მილიონზე მეტი და სადა მუშაობს 50-ზე მეტი მუშა მთელ განაკვეთზე“

კანადა

ზუსტად თუ რა არის SME ან მცირე და საშუალო საწარმო დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ აკეთებს განსაზღვრებას. Industry Canada იყენებს ტერმინ SME-ს ისეთ ბიზნესებთან მიმართებაში, სადაც 500-ზე ნაკლები დასაქმებულია, მაშინ როდესაც ფირმათა კლასიფიკაციის მიხედვით 500 ან მეტი თანამშრომელი უკვე „დიდი“ ბიზნესად ითვლება.

Industry Canada მცირე ბიზნესს განსაზღვრავს როგორც საწარმოს, სადაც მუშაობს 100-ზე (თუ ბიზნესი დაფუძნებულია საქონლის წარმოებაზე) ან 500-ზე ნაკლები (თუ ბიზნესი ეფუძნება მომსახურებას) ადამიანი. ფირმებს, რომლებსაც ჰყავთ ამაზე მეტი, მაგრამ 500-ზე ნაკლები მომუშავე საშუალო ბიზნესად ითვლება. მიკრობიზნესი განისაზღვრება როგორც 5-ზე ნაკლები მომუშავე ადამიანი.

Statistics Canada განსაზღვრავს SME-ს როგორც ნებისმიერ ბიზნესდაწესებულებას 0-დან 499 მომუშავემდე და 50 მილიონ დოლარზე ნაკლები წლიური შემოსავლით.

### ევროკავშირი

მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (ანუ SME) კატეგორია შედგება საწარმოებისგან, სადაც მუშაობს 250 ადამიანზე ნაკლები და რომლის წლიური ბრუნვა შეადგენს 50 მილიონ ევროს და მათი ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისი არ აღემატება 43 მილიონ ევროს.

### აზერბაიჯანი

მცირე საწარმოებში მომუშავე ადამიანების რაოდენობა სფეროების მიხედვით არის უფრო ნაკლები ვიდრე:

50 ადამიანი - ინდუსტრია და სხვა პროდუქციული სექტორები

25 ადამიანი - მშენებლობა და ინჟინერიის სფერო

25 ადამიანი - მეცნიერებისა და განათლების სფერო

15 ადამიანი - ტრანსპორტი, ვაჭრობა და მომსახურება

საშუალო სიდიდის კომპანიებისთვის არ არის დეფინიცია.

### ყაზახეთი

მცირე საწარმოებში მომუშავეთა რაოდენობა 50-ზე მეტია და

აქტივების რაოდენობა თვითურად არ აღემატება 60.000 ცალს,

საშუალო სიდიდის კომპანიებისთვის არ არის დეფინიცია

### ყირგიზეთი

მცირე საწარმოებში მომუშავეთა რაოდენობა არის უფრო ნაკლები ვიდრე:

- 50 ადამიანი წარმოების სფეროში და
- 15 ადამიანი არაწარმოების სფეროში
- სუფთა შემოსავალი ბრუნვიდან არ აღემატება 500.000 KGH-ს

საშუალო სიდიდის კომპანიებისთვის არ არის დეფინიცია.

ტაჯიკეთი

მცირე საწარმოებში მომუშავეთა რაოდენობა არის უფრო ნაკლები ვიდრე:

- 50-ინდუსტრიისა და მშენებლობის სფეროებში
- 15-სხვა ეკონომიკურ საქმიანობებში

საშუალო სიდიდის კომპანიებისთვის არ არის დეფინიცია.

თურქმენეთი

მცირე საწარმოებში მომუშავეთა რაოდენობა არის უფრო ნაკლები ვიდრე:

- 50 წარმოების სფეროში
- 10-საბითუმო ვაჭრობა, საშუამავლო და მომარაგების სამსახურები
- 25-სხვა ეკონომიკურ საქმიანობებში

საშუალო სიდიდის კომპანიებისთვის არ არის დეფინიცია.

უზბეკეთი

**მიკრო საწარმოებში** მომუშავეთა რაოდენობა არის 10-ზე ნაკლები ინდუსტრიაში, ხოლო ვაჭრობისა და მომსახურების საწარმოებში-5-ზე ნაკლები.

**მცირე საწარმოებში** ინდუსტრიაში – 40-ზე ნაკლები, მშენებლობაში – 20-ზე, საცალო გაყიდვაში და სხვა არაპროდუქციულ სფეროებში – 10-ზე ნაკლები ადამიანი.

**საშუალო სიდიდის საწარმოებში** – ინდუსტრიაში 100-ზე ნაკლები, მშენებლობაში – 50-ზე, სოფლის მეურნეობაში, საბითუმო ვაჭრობასა და პროდუქტების მიწოდებაში – 30-ზე, საცალო გაყიდვაში და სხვა არაპროდუქციულ სფეროებში – 20-ზე ადამიანი.

## მცირე და საშუალო ბიზნესი – ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით 2009 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 268546 საწარმო მათ შორის თბილისზე მოდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ყველაზე დაბალი კი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე.

### საქართველოში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით


| რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით |                               |        |        |        |         |                   |
|----------------------------------------------------------------------|-------------------------------|--------|--------|--------|---------|-------------------|
|                                                                      |                               | 2005   | 2006   | 2007   | 2008    | 2009 <sup>1</sup> |
| 1                                                                    | საქართველო-სულ                | 144949 | 173375 | 227180 | 2603335 | 2685446           |
| 2                                                                    | ქ. თბილისი                    | 68215  | 86409  | 109056 | 123166  | 126074            |
| 3                                                                    | აფხაზეთის ა.რ.                | 1419   | 1434   | 2100   | 3059    | 14798             |
| 4                                                                    | აჭარის ა.რ.                   | 6231   | 7247   | 11459  | 14206   | 6906              |
| 5                                                                    | გურია                         | 3535   | 4069   | 5781   | 6671    | 31211             |
| 6                                                                    | იმერეთი                       | 16216  | 17924  | 24755  | 29621   | 14701             |
| 7                                                                    | კახეთი                        | 9345   | 9923   | 12629  | 14297   | 6476              |
| 8                                                                    | მცხეთა-მთიანეთი               | 4734   | 5120   | 5895   | 6350    | 1767              |
| 9                                                                    | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 1363   | 1432   | 1575   | 1708    | 1767              |
| 10                                                                   | სამეგრელო-ზემო სვანეთი        | 10015  | 12400  | 19011  | 21708   | 22519             |
| 11                                                                   | სამცხე-ჯავახეთი               | 3474   | 3814   | 5205   | 5732    | 5858              |
| 12                                                                   | ქვემო ქართლი                  | 12946  | 15305  | 18907  | 21347   | 21911             |
| 13                                                                   | შიდა ქართლი                   | 7456   | 8298   | 10807  | 12470   | 12928             |

2009 წლის 1 აპრილის მდგომარეობით

წყარო: საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიანი სახელმწიფო რეგისტრი (სოესრ)

რეგისტრირებულ საწარმოთა 80% მცირე ზომის სუბიექტებზე მოდის, 13% კი საშუალო კომპანიებზე.

## საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები



უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური მონაცემები მცირე და საშუალო ზომის კომპანიების შესახებ საკმაოდ მწირია და ვერ იძლევა სრულყოფილ სურათს.

ქვემოთ მოცემულია ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.

აღნიშნული მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკაში როგორც ბრუნვის, ასევე დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების 60%-ზე მეტი მსხვილ საწარმოებზე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი საწარმოების წონა რეგისტრირებულ სუბიექტებში მხოლოდ 7%-ია. გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი როგორც წესი საშუალო და მცირე ბიზნესზე მოდის, ეჭვის ქვეშ შეიძლება დავაყენოთ მონაცემების სიზუსტე.

## ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით

| წელი | სულ       | მათ შორის |         |         |
|------|-----------|-----------|---------|---------|
|      |           | მსხვილი   | საშუალო | მცირე   |
|      | მლნ. ლარი |           |         |         |
| 2002 | 4 595,6   | 3 475,5   | 535,7   | 584,4   |
| 2003 | 5 523,0   | 4 198,8   | 572,7   | 751,5   |
| 2004 | 7 248,4   | 5 618,7   | 770,1   | 859,6   |
| 2005 | 10 076,3  | 7 756,9   | 1 163,6 | 1 155,8 |
| 2006 | 13 090,3  | 10 643,0  | 1 368,0 | 1 079,3 |
| 2007 | 16 933,5  | 13 937,7  | 1 600,9 | 1 394,9 |
| 2008 | 19 322,7  | 16 290,5  | 1 481,0 | 1 551,2 |

## დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით

| წელი | სულ       | მათ შორის: |         |         |
|------|-----------|------------|---------|---------|
|      |           | მსხვილი    | საშუალო | მცირე   |
| 2002 | 301 310   | 153 546    | 74 435  | 73 329  |
| 2003 | 297 795   | 147 239    | 69 390  | 81 166  |
| 2004 | 322 779   | 169 883    | 70 454  | 82 442  |
| 2005 | 388 946   | 200 903    | 87 628  | 100 415 |
| 2006 | 360 987   | 192 242    | 84 192  | 84 554  |
| 2007 | 361 209   | 201 748    | 91 784  | 67 677  |
| 2008 | 1 322 005 | 791 770    | 253 728 | 276 506 |

ოფიციალური წყაროების მიხედვით 2009 წლის აპრილის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 214 837 მცირე ზომის ეკონომიკური სუბიექტი და 34 911 საშუალო საწარმო.

მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი ნაწილი (68%-ზე მეტი) დარეგისტრირებულია როგორც შპს. რეგიონების ჭრილში კი ყველაზე დიდი წონა თბილისზე მოდის (59% საშუალო საწარმოებისათვის, 47% - მცირე). საქმიანობის სფეროების მიხედვით მცირე საწარმოთა 50%-ზე მეტი ვაჭრობაზე მოდის.

მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვის გადანაწილება იურიდიული ფორმების, საქმიანობის სფეროებისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირია:

## მცირე და საშუალო ბიზნესი იურიდიული ფორმების მიხედვით

| იურიდიული ფორმა | საშუალო    | მცირე      |
|-----------------|------------|------------|
| <i>სულ %</i>    | <i>100</i> | <i>100</i> |
| შპს             | 88,5       | 68,0       |
| სს              | 4,6        | 4,8        |
| სპს             | 0,4        | 2,0        |
| კს              | 0,0        | 0,0        |
| კოოპერატივი     | 0,0        | 0,1        |
| ინდ. საწარმო    | 5,7        | 25,0       |
| სხვა ფორმა      | 0,7        | 0,0        |

## მცირე და საშუალო ბიზნესი რეგიონების მიხედვით

| რეგიონი                       | საშუალო    | მცირე      |
|-------------------------------|------------|------------|
| <i>სულ %</i>                  | <i>100</i> | <i>100</i> |
| თბილისი                       | 58,9       | 47,2       |
| აფხაზეთი                      | 0,0        | 0,0        |
| აჭარა                         | 10,1       | 13,2       |
| გურია                         | 0,2        | 1,4        |
| იმერეთი                       | 9,3        | 14,3       |
| კახეთი                        | 1,7        | 4,9        |
| მცხეთა-მთიანეთი               | 1,7        | 1,2        |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 0,4        | 0,7        |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი        | 6,9        | 5,8        |
| სამცხე-ჯავახეთი               | 1,7        | 1,9        |
| ქვემო ქართლი                  | 7,0        | 4,6        |
| შიდა ქართლი                   | 2,2        | 4,9        |

## მცირე და საშუალო ბიზნესი საქმიანობის სფეროს მიხედვით

| საქმიანობის სფერო                                                                      | საშუალო    | მცირე      |
|----------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| <i>სულ %</i>                                                                           | <i>100</i> | <i>100</i> |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა                                         | 0,4        | 0,9        |
| თევზჭერა, მეთევზეობა                                                                   | 0,0        | 0,1        |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა                                                             | 1,4        | 1,3        |
| დამამუშავებელი მრეწველობა                                                              | 18,4       | 12,1       |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება                                | 2,5        | 1,0        |
| მშენებლობა                                                                             | 15,5       | 6,9        |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 34,9       | 54,1       |
| სასტუმროები და რესტორნები                                                              | 1,5        | 2,9        |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა                                                          | 8,0        | 5,6        |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა              | 8,5        | 10,8       |
| განათლება                                                                              | 3,2        | 0,8        |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება                                              | 4,7        | 1,2        |
| კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა                               | 1,0        | 2,0        |

## მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევის შედეგები

### ჩატარებული კვლევების აღწერა და მეთოდოლოგია

პროექტის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ტიპის კვლევები: ფოკუს-ჯგუფი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან; კერძო სექტორის რაოდენობრივი კვლევა; სამაგიდო კვლევა მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის შესახებ.

ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი მცირე და მიკრო ზომის კომპანიებისა და საშუალო საწარმოების წარმომადგენლების მონაწილეობით. ფოკუს-ჯგუფებზე განხილული იქნა ბიზნესისთვის აქტუალური საკითხები და პრობლემები. ფოკუს-ჯგუფების ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესგარემოს პრიორიტეტული საკითხებისა და მიმართულებების გამოვლენა. ჯგუფური დისკუსიის ძირითადი საკითხები იყო: ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული პრობლემების ჩამონათვლის გენერირება; პრობლემების გამომწვევი მიზეზებისა და მათი ვარიაციების დადგენა; კერძო სექტორის თვალთ დახედული რეკომენდაციების გენერირება პრობლემების მიხედვით და სხვ. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე მეწარმეთა ვინაობა კონფიდენციალურია. ამდენად, მათი ციტირება ანაგრიშში მოხდება პირის ან/და საწარმოს მითითების გარეშე.

კერძო სექტორის რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 500 საწარმოს წარმომადგენლის მოსაზრება მცირე და საშუალო ბიზნესგარემოს არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ბიზნესგარემოს შეფასება, მასში არსებული სირთულეებისა და პრობლემების გამოვლენა, ასევე საინვესტიციო გარემოსა და საექსპორტო პოტენციალის შესწავლა. შერჩევა შემუშავდა საქართველოში რეგიონების მიხედვით დარეგისტრირებულ მეწარმეთა რაოდენობისა და მათი საქმიანობის მოცულობის პროპორციების გათვალისწინებით (ცხრილი 1).

ბიზნესგარემოს კვლევის ბოლო ეტაპი იყო საქართველოში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მიმოხილვა. აღნიშნულ სამაგიდო კვლევაში განხილულია ბიზნესისთვის აგრეთვე საერთაშორისო გამოცდილება და განხორციელებული რეფორმები და პროგრამები.

## ფოკუს-ჯგუფის შედეგების მიმოხილვა

2009 წლის მაისში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წარმომადგენლების მონაწილეობით. ფოკუს-ჯგუფების ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესგარემოს პრიორიტეტული საკითხებისა და მიმართულებების გამოვლენა. დისკუსიის ძირითადი მიმართულებები შემდეგნაირი იყო: ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული პრობლემების ჩამონათვლის გენერირება; პრობლემების გამომწვევი მიზეზებისა და მათი ვარიაციების დადგენა; კერძო სექტორის თვალთ დანახული რეკომენდაციების გენერირება პრობლემების მიხედვით და სხვ.

ზოგადად, სხვადასხვა ზომის ბიზნესის წარმომადგენლებმა საერთო ტიპის პრობლემები დაასახელეს, თუმც, იყო გარკვეული განსხვავებებიც. მაგალითად, საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის მეტად აქტუალურია საბაჟო პროცედურები და დამატებული ღირებულების გადასახადი, მცირე მეწარმეებისათვის კი პრობლემატურია არსებული საგადასახადო სანქციებისა და ჯარიმების მოცულობა.

ფოკუს-ჯგუფში მონაწილე მეწარმეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ბიზნესმარეგულირებელი კანონმდებლობა რთული და ორაზროვანია.

ჯგუფური დისკუსიების პროცესში მოხდა პრობლემატური და აქტუალური საკითხების გამოვლენა და შეფასება. ფოკუს-ჯგუფის შედეგები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად: კანონმდებლობა, ფინანსური სახსრები, განვითარების შესაძლებლობები და სხვ. ძირითადად გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- კანონმდებლობის ხშირი ცვლილება და რთულად გასაგები ენა;
- შეღავათების ანდა რაიმე პოლიტიკის არარსებობა, რომლიც ხელს შეუწყობდა მცირე ბიზნესს;
- ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე, განსაკუთრებით შეღავათიან კრედიტებზე;
- გასაღების ბაზრებზე გასვლა, როგორც შიდა ასევე გარე;
- ზოგადი არასტაბილურობა და დაგეგმვის შეუძლებლობა;

## რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი პრობლემები

- გამოკითხულ საწარმოთა 42%-ის გამოცდილება 5 წელს არ აღემატება, რაც მიუთითებს, რომ საქართველოში ბიზნესის მართვის კულტურა და ტრადიციები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოში არსებული ბიზნესგარემო და შესაბამისად კანონმდებლობა არასტაბილურია და კვლავაც განვითარების გზაზე იმყოფება;
- გამოკითხული კომპანიების 73%-ის აზრით, ბიზნესგარემო საქართველოში მნიშვნელოვნად გაუარესდა. მიუხედავად რესპოდენტების უმრავლესობის მოსაზრებისა ბიზნესგარემოს გაურესებაზე, კომპანიების 63%-მა საგადასახადო კოდექსის პრაქტიკაში მოქმედება საშუალოდ შეაფასა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიზნესგარემოს ნეგატიური შეფასება ძირითადად პოსტკონფლიქტური და გლობალური ფინანსური კრიზისითაა გამოწვეული.
- რესპოდენტთა 73% ვერ ახერხებს საკუთარი ბიზნესის გაფართოებას ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობის არქონის გამო. ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც საფინანსო ინსტიტუტები, ინვესტორები, ასევე თავისუფალი საკუთარი სახსრები. როგორც წესი, კრიზისამდე, მცირე საწარმოები განვითარებას საკუთარი რეინვესტიციის ხარჯზე ახერხებდნენ, რაც დღეს უკვე განსაკუთრებულად პრობლემატური გახდა. ხშირად მათ საოპერაციო თანხებიც კი არ გააჩნიათ.
- მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა გაყიდვები. მათ, როგორც წესი არ მიუწვდებათ ხელი სადისტრიბუციო სისტემებზე, არ აქვთ შესაბამისი მარკეტინგული და გაყიდვებთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამასთან, საშუალო და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის შემცირება, რაც თავის მხრივ კრიზისითაა მოწვეული, პირდაპირ მოქმედებს სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს.
- ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის კრიტიკულია კრედიტის საპროცენტო განაკვეთი. უნდა აღინიშნოს, რომ ბანკებმა თითქმის შეწყვიტეს კრედიტების გაცემა. ამასთან, ფინანსური სექტორი, ყოველთვის უპირატესობას მსხვილ

ბიზნესს ანიჭებდა და თითქმის არასოდეს აფინანსებს დამწყებ მცირე კომპანიებს. შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებსაც თავის მხრივ საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვთ – 30% და მეტი. იმის გათვალისწინებით, რომ მეწარმეებს ისედაც უჭირთ საკუთარი პროდუქტისა და მომსახურების გაყიდვა, მათთვის რეალურად შეუძლებელია კრედიტის აღება ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთით;

- რესპოდენტთა 60%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო შეღავათების დაწესება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. რეალურად, პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ არ ტარდება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა. არც ერთი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შეღავათიანი კრედიტების გაცემას, უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას და სხვა.
- რესპოდენტთა 27%-სათვის სასურველი ადამიანური რესურსების მოძიება პრობლემატური საკითხია. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოში არსებული ბიზნეს-გარემოს ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემაზე – ნაკლებად განვითარებულ შრომის ბაზარზე. არაერთმა კვლევამ გამოავლიანა, რომ კადრების პრობლემა ძალიან აქტუალურია მსხვილი კომპანიებისათვისაც. შესაბამისად, მიუხედავად უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა, მცირე და საშუალო სექტორშიც არის მოთხოვნა სხვადასხვა პროფესიებისა და ხელობების კვალიფიციურ პერსონალზე.
- მცირე და საშუალო კომპანიებისათვის ბიზნესის ოპერირების თვალსაზრისით თითქმის გადაუჭრელ პრობლემად რჩება გამართული ბუღალტრული აღრიცხვა (55%), რაც პირდაპირ კავშირშია საგადასახადო კოდექსის რთულ ენასა და ხშირ ცვლილებებთან. ხშირად მეწარმეები უბრალოდ ვერ იღებენ ინფორმაციას ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებულ ცვლილებებზე. არ ფლობენ სწორ ინფორმაციას დეკლარაციების წარდგენის ვადებისა და საგადასახადო ჯარიმების, ასევე, გასაჩივრების პროცედურების შესახებ;
- შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ინვესტორი ხელმიუწვდომელი ცნებაა. რესპოდენტების


94%-ს არასოდეს ჰქონია რაიმე სახის შეხება პოტენციურ ინვესტორთან კი. ამასთან, მათი უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას ისეთი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაეხმარონ ინვესტორის მოძიებაში და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში;

- ექსპორტი ასევე მსხვილი კომპანიების პრეროგატივაა. ბუნებრივია მცირე ზომის საწარმოებს არ აქვთ იმის ადმინისტრირება და სხვა რესურსები, რომ საკუთარი ძალებით მიიძიონ ინფორმაცია გარე ბაზებისა და პოტენციური მყიდველების შესახებ. ხშირად მოლაპარაკებების წარმოებაც მყიდველებთან ცალკე პრობლემაა. ხოლო რაც შეეხება შუამავალ ორგანიზაციებს, ასეთების შესახებ ინფორმაციას რესპოდენტთა 99.2% არ ფლობს.

## რაოდენობრივი კვლევის შედეგები


შესწავლილი საწარმოების 42%-ს მხოლოდ 1-დან 5 წლამდე ოპერირების გამოცდილება აქვს. თითქმის ყოველთვის იზრდება რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, თუმცა ბევრი მათგანი ვერ ახერხებს ბიზნესის წარმატებულ მართვას და საკმაოდ მოკლე პერიოდში ტოვებს ბაზარს. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბიზნესის მართვისა და დაგეგმვის კულტურა ძალიან დაბალია. ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი, განსაკუთრებულ ხელშეწყობას კი მიკრო და მცირე ბიზნესი საჭიროებს.

### შესწავლილი საწარმოების ფუნქციონირების პერიოდები



გამოკითხული მეწარმეების 64% თვლის რომ მისი საწარმო განეკუთვნება მცირე საწარმოს.


### გამოკითხული საწარმოები ზომის მიხედვით



საქართველოს კანონით საინვესტიციო სააგენტოს შესახებ დადგინდა კრიტერიუმები და განსაზღვრა ტერმინები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ამ კანონის თანახმად მცირეა საწარმო თუ მისმა ბრუნვა გასულ წელს იყო 500 000-ზე ნაკლები, ხოლო საშუალოა იგი შეადგენდა გასულწელს 500 000 – 1 500 000 ლარი და კომპანია რომლის ბრუნვამაც შეადგინა 1 500 000-ზე მეტი იგი განეკუთვნება მსხვილ კომპანიას. გამოკითხული მეწარმეების 92% შემოსავალი წინა წელს იყო 500 000 ლარამდე, თუმცა გამოკითხული კომპანიების თვითშეფასების საფუძველზე 139 კომპანიამ (30%) საკუთარი ბიზნესი მიაკუთვნა საშუალო ზომის კომპანიას.


| რესპოდენტების თვითშეფასება და კანონი მიხედვით გადანაწილება ფირმის ზომის მიხედვით |         |           | თვითშეფასება |         |      |     |
|----------------------------------------------------------------------------------|---------|-----------|--------------|---------|------|-----|
|                                                                                  |         |           | მცირე        | საშუალო | დიდი |     |
| კანონის მიხედვით                                                                 | მცირე   | რაოდენობა | 316          | 147     | 1    | 464 |
|                                                                                  |         | %         | 68,1         | 31,7    | 0,2  | 100 |
|                                                                                  | საშუალო | რაოდენობა | 1            | 30      | 5    | 36  |
|                                                                                  |         | %         | 2,8          | 83,3    | 13,9 | 100 |
|                                                                                  | ჯამი    | რაოდენობა | 317          | 177     | 6    | 500 |
|                                                                                  |         | %         | 63,4         | 35,4    | 1,2  | 100 |

### გამოკითხული კომპანიები სექტორების მიხედვით




გამოკითხული კომპანიების ნახევარზე მეტი საქმიანობს მომსახურების სექტორში. ჩატარებულ კვლევაში შესწავლილია მეწარმეთა დამოკიდებულებები და ხედვები ბიზნესგარემოს სხვადასხვა ასპექტების მიმართ. რესპოდენტებმა ასევე მოახდინეს ბიზნესგარემოს ზოგადი შეფასება ბოლო 1 წლის განმავლობაში. გამოკითხულთა უმრავლესობის (73%) აზრით, ბიზნესგარემო საქართველოში მნიშვნელოვნად გაუარესდა.

### ბიზნესგარემოს ზოგადი შეფასება



მიუხედავად რესპოდენტების უმრავლესობის მოსაზრებისა ბიზნესგარემოს გაუარესებაზე, კომპანიების 63% საგადასახადო კოდექსის პრაქტიკაში მოქმედება საშუალოდ შეაფასა.


### საგადასახადო კოდექსის შეფასება



რესპოდენტებს ასევე დაესვათ კითხვა: თუ რა სახის დახმარება შეიძლება გაეწიოს მცირე და საშუალო ბიზნესს? კომპანიების 65% თვლის რომ მცირე და საშუალო


ბიზნესისთვის დახმარების გაწევა იქნებოდა ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, თითქმის 50%-საგადასახადო შეღავათების დაწესება, ხოლო 45% სხვადასხვა სახის პროგრამების განხორციელება.

### მეწარმეებისთვის სასურველი დახმარება




მოუხედავად საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებისა გამოკითხული კომპანიების 99% გეგმავს საქმიანობის გაგრძელებას და მხოლოდ 5 კომპანიამ (1%) განაცხადა რომ არსებული მდგომარეობის გამო შეუძლებელია საქმიანობის გაგრძელება მათთვის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტების 48% განაცხადა, რომ არ აპირებს საქმიანობის გაფართოებას შემდეგი მიზეზების გამო.

### საქმიანობის გაფართოება




გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 8,2% აპირებს ამუშაინდელი საქმიანობის გაფართოებას და ძირითადად საკუთარი ან/და პარტნორების დანაზოგებით

### საქმიანობის გაფართოების გზები



რესპოდენტების დაახლოებით 73% ფინანსურ სახსრებზე ხელმოუწვდომლობის გამო ვერ ახერხებს საკუთარი ბიზნესის გაფართოებას.




ბიზნესგარემოს განვითარების შესახებ რეკომენდაციებს ამზადებენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე პოლიტიკოსებსაც აქვთ საკუთარი ხედვა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ბიზნესი ან/და კონკრეტული დარგი საქართველოში. თუმცა საინტერესოა რას ფიქრობს კერძო სექტორი და რა მიმართულებით ითხოვს იგი მხარდაჭერას და ვისგან.


მნიშვნელოვანია გატარდეს ერთიანი პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს, ასევე საერთაშორისო სექტორის მხრიდან, რათა რეალურად მოხდეს ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარება. მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელებისათვის კი აუცილებელია, ზუსტად მოხდეს აღნიშნული პრობლემების იდენტიფიკაცია და რანჟირება.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა ის პრობლემები რომლის წინაშეც დგას მცირე და საშუალო ბიზნესი დღეს. გამოკითხული კომპანიების თითქმის 60% ბიზნესის საქმიანობის პროცესში ხელისშემშლელ ფაქტორად ბაზარზე გაყიდვებს ასახელებს. მეორე მსხვილ პრობლემას წარმოადგენს ფინანსურ სახსრებზე ხელმსაწყოლობა. ხოლო, რაც შეეხება სახელმწიფოს ან/და სხვა მესამე პირების მხრიდან ბიზნესში ჩარევა რესპოდენტების თითქმის სრული ურავლესობის მიერ დასახელდა როგორც ყვეალზე ნაკლებად პრობლემატური საკითხი. ეს მიანიშნებს ორ მნიშვნელოვან საკითხზე: სახელმწიფოს ჩარევა კომპანიების ყოველდღიურ საქმიანობაში შემცირდა ან/და ჩაჯდა კანონის ფარგლებში.


## ვერ შეაფასა/უჭირს შეფასება




## არ არის პრობლემატური




## ნაკლებად პრობლემატურია



## პრობლემატურია




## ძალიან პრობლემატურია




კვლევის შედეგად გამოვლინდა არა მარტო საქმიანობის პროცესში არსებული პრობლემები, არამედ ბიზნესის განვითარებისთვის ყველაზე პრობლემატური საკითხები. ყველაზე პრობლემატურ საკითხად გამოკითხულ კომპანიებს შორის დასახელდა პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობა. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხად აღნიშნა ფინანსულ სახსრებზე ხელმისაწვდომობა და ასევე სესხის საპროცენტო განაკვეთი.


## I არჩევანი



## II არჩევანი




### III არხვანი



რესპოდენტებმა ასევე დაასახელეს თუ რა სახის კონსულტაციებით ისარგებლებდნენ მათი საქმიანობის პროცესში. გამოკითხული კომპანიების 55%-ს დახმარება ბუღალტრული აღრიცხვის კუთხით სჭირდებათ. მეორე ადგილი უკავია ბიზნეს-გეგმების მომზადებას, რაც ალბათ მოსალოდნელიც იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერ ბიზნესს განვითარებისთვის დამატებითი სახსრების მოზიდვა სურს, რაც ბიზნესგეგმის გარეშე წარმოუდგენელია.

### სასურველი ბიზნესკონსულტაციები



აღნიშნული კვლევის ფარგლებში ბიზნესგარემოს არსებული მგდომარეობის გარდა მოხდა რესპოდენტებში საექსპორტო პოტენციალისა და ინსვეტიციების მოზიდვის შესაძლებლობების შეფასება და ანალიზი. გამოკითხული კომპანიების 94 %-ს არ ჰქონია ურთიერთობა ინვესტორებთან.

**უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობის გამოცდილება**

| დიახ<br>24 |         |      | არა, მაგრამ ვგეგმავ/მსურს<br>4 |         | არა<br>472 |         |      |
|------------|---------|------|--------------------------------|---------|------------|---------|------|
| მცირე      | საშუალო | დიდი | მცირე                          | საშუალო | მცირე      | საშუალო | დიდი |
| 9          | 13      | 2    | 2                              | 2       | 306        | 162     | 4    |

| მქონდა გაცნობითი შეხვედრები<br>2 |         |      |
|----------------------------------|---------|------|
| მცირე                            | საშუალო | დიდი |
| 0                                | 2       | 0    |

| საჭიროებას ვერ ვხედავ<br>250 |         |      |
|------------------------------|---------|------|
| მცირე                        | საშუალო | დიდი |
| 172                          | 74      | 4    |

| შეთანხმება არ/ვერ შედგა<br>7 |         |      |
|------------------------------|---------|------|
| მცირე                        | საშუალო | დიდი |
| 4                            | 3       | 0    |

| მსურს, მაგრამ ვერ ვახეხებ<br>189 |         |      |
|----------------------------------|---------|------|
| მცირე                            | საშუალო | დიდი |
| 117                              | 72      | 0    |

| შეთანხმება შედგა<br>5 |         |      |
|-----------------------|---------|------|
| მცირე                 | საშუალო | დიდი |
| 2                     | 3       | 0    |


| სხვა<br>33 |         |      |
|------------|---------|------|
| მცირე      | საშუალო | დიდი |
| 17         | 16      | 0    |

| მაქვს მოლაპარაკებები<br>1 |         |      |
|---------------------------|---------|------|
| მცირე                     | საშუალო | დიდი |
| 0                         | 0       | 1    |

| სხვა<br>9 |         |      |
|-----------|---------|------|
| მცირე     | საშუალო | დიდი |
| 3         | 5       | 1    |


გამოკითხული კომპანიების 42% სამომავლოდ გეგმავს/სურს ინვესტორის მოძიება და მათი უმრავლესობა ინვესტორს შენობა-ნაგებობებსა (63%) და აწეობილ სარეალიზაციო ქსელს (50%) შესთავაზებს.

### ინვესტორისთვის შესთავაზებული აქტივი




გამოკითხული კომპანიების 41% თვლის რომ ინვესტორების მოზიდვის ერთ-ერთ წინაპირობას კარგად მომზადებული ბიზნესგეგმა (41%) წარმოადგენს და ასევე განვითარებისათვის პერსპექტიული დარგი (21%).

### ინვესტორის მოზიდვის განმსაზღვრელი პირობა




რესპოდენტების მხოლოდ 2% აქვს ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ინვესტორების მოძიებაში. გამოკითხული კომპანიების 38% დახმარება აღნიშნული ორგანიზაციებისაგან სჭირდებათ ბიზნეს-გეგმისა და სხვა ინვესტორის მოძიებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადებაში.




კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის ანალიზიც მოხდა აღნიშნულ კვლევაში არის რესპოდენტი კომპანიების მიერ განხორციელებული ექსპორტი და მასთან დაკავშირებული საკითხები. სამწუხაროდ, გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 3% ახორციელებს ამჟამად პროდუქციის ექსპორტს, თუმცა 8.2% თვლის მის მიერ წარმოებულ პროდუქციას გააჩნია საექსპორტო პოტენციალი. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ამ 5%-ის კომპანიების მიერ პროდუქციის მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაცია შესაძლოა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული არაინფორმირებულობასთან. გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 3.8% იცნობს საექსპორტო ბაზრებს და კომპანიების მხოლოდ 0.8% ფლობს ინფორმაციას ექსპორტის ხელშემწყობი ინიციატივების შესახებ. რესპოდენტების 38% თვლის რომ წარმატებული ექსპორტისთვის საჭიროა ხარისხიანი პროდუქციის წარმოება.

## წარმატებული ექსპორტისთვის საჭირო პირობა



გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 1.8% აქვს ინფორმაცია ისეთი კომპანიების შესახებ, რომლებიც დაეხმარებიან მას ექსპორტის განხორციელებაში. კომპანიები აღნიშნული ორგანიზაციების დახმარებას ძირითადად გამოიყენებდნენ ინფორმაციის მიღებაში, საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებაში და მარკეტინგული გეგმების შემუშავებაში.



## ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა

ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სპეცილურ ნორმებს მცირე და საშუალო ბიზნესის თვალსაზრისით. შესაბამისად, ყველა შედავათი, უპირატესობა თუ პრობლემა საერთოა ყველა ზომის საწარმოსათვის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პრობლემები განსაკუთრებულად მწვავეა მცირე კომპანიებისათვის, მაგალითად საგადასახადო ჯარიმების მოცულობა, ადმინისტრაციული ბარიერები და სხვა.

### საწარმოს რეგისტრაცია

სასაწარმოო რეგისტრაცია იურიდიულ-სამართლებრივ ფორმებად ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. ბოლო წლების განმავლობაში იყო რეგისტრაციის პროცედურის გამარტივების მრავალი მცდელობა. 2005 წლამდე სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებდა სასამართლო 15 დღის ვადაში, ხოლო საგადასახადო რეგისტრაციას ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი. ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებასთან ერთად სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისრა საგადასახადო დეპარტამენტს. შემცირდა საწარმოთა რეგისტრაციის ვადები და შესატანი საწესდებო კაპიტალის მინიმუმი. ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაცია ხორციელდება ერთ სამუშაო დღეში, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) – კი 3 სამუშაო დღეში, რაც შეეხება საწესდებო კაპიტალს შპს-სთვის, იგი 2000 ლარიდან 200 ლარამდე შემცირდა.

ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციისათვის არ გადაიხდებინება სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა რაიმე გადასახდელი. სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი დოკუმენტაცია.

### ლიცენზიები და ნებართვები

უკანასკნელი წლების განმავლობაში სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიებისა და ნებართვების სფეროს რეგულირების არაერთი მცდელობა იყო. პირველი ნაბიჯი იყო 2002 წლის 14 მაისს „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის

მიღება, რომელმაც გარკვეულწილად ერთიან ჩარჩოში მოაქცია სალიცენზიო და სანებართვო სისტემა. აღნიშნულ კანონში მიღების დღიდან განხორციელდა 19 ცვლილება და საბოლოოდ 2005 წლის 24 ივნისს მიღებულ იქნა ახალი კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2005 წლის 2 აგვისტოდან.

ახალ კანონში ძალაში შესვლიდან დღემდე უკვე განხორციელდა 10 ცვლილება, რომელიც ძირითადად ეხებოდა სალიცენზიო და სანებართვო სახეების მოდიფიცირებასა და ახლებურ ფორმულირებას. 2005 წელს მიღებული კანონის საფუძველზე გაიცემოდა 84 სახის საქმიანობის ლიცენზია, მათ შორის, 33 სახის გენერალური ლიცენზია. არსებული გენერალური ლიცენზიები აერთიანებდა 77 სპეციალურ ლიცენზიას. კანონით ასევე განსაზღვრულია სარგებლობის ლიცენზიაც, რომელიც 2005 წელს მოიცავდა 8 სახის ლიცენზიას, მათ შორის, 1 გენერალურ ლიცენზიას.

2005 წლიდან დღემდე განხორციელებული ცვლილებებით 84 სახის საქმიანობის ლიცენზია შემცირდა 79 სახის ლიცენზიამდე. ამ ცვლილებების საფუძველზე მთლიანად ამოღებულია საბაჟო გადაშიდველისა და ბროკერის საქმიანობის ლიცენზია.

კანონის მიხედვით დადგინდა ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის ახალი, „ერთი სარკმლის“ პრინციპი, რომლის თანახმად ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო თავად უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებას. ასევე, ინოვაციას წარმოადგენს პრინციპი – „დუმილი თანხმობის ნიშანია“, რომელიც გულისხმობს, რომ ლიცენზია ან ნებართვა ავტომატურად გაცემულად ითვლება, თუ მთავრობის მხრიდან განსაზღვრულ ვადებში არ განხორციელდა შესაბამისი ქმედება. კანონის სიახლეს წარმოადგენს, აგრეთვე, სარგებლობის ლიცენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ გაყიდვის ან გადაცემის შესაძლებლობა.

**მეორადი კანონმდებლობის არარსებობა.** პროგრესულად აღიარებული ჩარჩო-კანონი ამომწურავად ვერ არეგულირებს სალიცენზიო პროცესის ყველა ასპექტს. ის უფრო ზოგადი ხასიათისაა. კონკრეტული საკითხები ინდივიდუალურ ლიცენზიებთან ან მათ ჯგუფთან დაკავშირებით კონკრეტული კანონებით, ე.წ. მეორადი კანონმდებლობით, რეგულირდება. ჩარჩო-კანონმა მთავრობას გარდამავალი პერიოდი 2005 წლის 15 ნოემბერს დაუწესა სპეციალურ ლიცენზიებთან დაკავშირებული მეორადი ნორმატიული აქტების მოსამზადებლად. საბოლოოდ, საჭირო იქნება სპეციალიზებული ნორმატიული აქტების შეცვლა ან გაუქმება იმისათვის, რომ სისტემა ჩარჩო-კანონის დებულებებთან შესაბამისობაში მოვიდეს.

**მეორადი კანონმდებლობის მიღება, მეორადი უწყებისთვის ვადების და კომპეტენციების განსაზღვრა**, ის პრიორიტეტული ამოცანა უნდა გახდეს, რომელიც უმოკლეს ვადებში და თანმიმდევრულად უნდა გადაწყდეს. თუ მთავრობა დააპირებს მეორად კანონმდებლობაზე მუშაობის დაწყებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ამ კანონებმა განსაზღვროს, თუ რომელი უწყებები, გარდა ძირითადი ლიცენზიის გამცემი უწყებისა, მიიღებს მონაწილეობას განცხადების წარმოებაში და როგორ მოხდება მათი კომპეტენციების გამოჯვნა. მეორადმა კანონებმა უნდა უზრუნველყოს დოკუმენტების სია, რომლებიც საჭიროა ლიცენზიის ან ნებართვის მისაღებად. ამჟამად ჩარჩო-კანონი ნებას რთავს ლიცენზიის გამცემებს, დააწესონ დამატებითი ვადები და პირობები სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. აშკარაა, რომ მეორადი კანონმდებლობის არარსებობა ლიცენზიის/ნებართვის გაცემის პროცესს არ მატებს გამჭვირვალობას ან პროგნოზირებადობას, არ ნერგავს ბიზნესში მოთხოვნების შესრულების პრინციპებს.

კანონმდებლობა, რომელიც ადგენს : 1. მეორადი უწყებების სიას; 2. თითოეული მეორადი უწყების უფლებამოსილების დეტალურ აღწერას; 3. ვადების განხილვას; 4. საჭირო დოკუმენტების სიას, გაამარტივებს სალიცენზიო პროცესს და ხელს შეუწყობს მის პროგნოზირებადობას. გარდა ამისა, მეორადი კანონმდებლობა საჭიროა განმარტების სიცხადისათვის. ამით შემცირდება დაგვიანებები, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად დაკავშირებულია სხვადასხვა მუხლის განსხვავებულ ინტერპრეტაციასთან.

აღნიშნულის მოგვარებისათვის **სარგებლობის ლიცენზიის სათანადო პროცესის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს**. თუ ლიცენზიის მფლობელი გადაწყვეტს გაყიდოს, გადასცეს ან ნაწილობრივ გაასხვისოს ლიცენზია კანონმდებლობა, ამ შემთხვევაში ითხოვს, რომ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ ლიცენზიის გამცემ უწყებას. საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, რეკომენდებულია მოქმედი კანონით არსებული სამდღიანი ვადის გაგრძელება იმ ვადამდე, რომელიც საშუალებას მისცემს ლიცენზიის გამცემ ორგანოებს, ჩაატარონ მისი გამცემისა და მიმღების სათანადო შემოწმება. ამას განახორციელებს არა მხოლოდ ლიცენზიის გამცემი ორგანო, არამედ შესაბამისი მეორადი უწყებებიც.

ლიცენზიის გადასაცემად საჭირო ვადა ამჟამად არ აჭარბებს 3 სამუშაო დღეს. აშკარაა, რომ საჭიროა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების კოორდინირებული მუშაობა. ვადების გაგრძელება საშუალებას მისცემს ლიცენზიის გამცემ ორგანოებს, გაუმჯობესებული მომსახურებით უზრუნველყონ განმცხადებლები. ეს შეამცირებს არაკვალიფიციური ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის მიერ პოტენციური ზიანის მიყენების შესაძლებლობას.

**ასევე უნდა განისაზღვროს აუქციონის ჩატარების წესებიც.** როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში ყველა სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით. თუმცა, ჩარჩო-კანონი ადგენს, რომ აუქციონის წესები და პროცედურები შეიძლება ინდივიდუალურად დაარეგულიროს ლიცენზიის გამცემმა ორგანომ. ეს კი პრაქტიკულად ნიშნავს, რომ წესები შესაძლოა ხელახლა გამოიცეს ან შეიცვალოს ყოველი მნიშვნელოვანი აუქციონის წინ. საკანონმდებლო არამდგრადობის ასაცილებლად და ბიზნესგარემოს პროგნოზირებადობის გასაძლიერებლად უფრო გონივრული იქნებოდა ზოგადი აუქციონის წესების დანერგვა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული 8 ტიპის სარგებლობის ლიცენზიისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ აუქციონი, თავისთავად, ღირებული რესურსების გაცემისას ყველაზე სასურველი გამარჯვებულის დადგენის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს, მისი უფრო დეტალური პროცედურა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პროცესის პროგნოზირებასა და გამჭვირვალებაში, რაც გამოიწვევს დაინტერესებული მხარეების წახალისებას აუქციონში მონაწილეობის მისაღებად.

### საბაჟო ადმინისტრირება

საბაჟო კოდექსი ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლის მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულებები და სიმარტივე ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სწორ ორიენტირებს და ბიზნესის განვითარებას განაპირობებს. საქართველოში პირველი საბაჟო კოდექსი მიღებულ იქნა 1997 წელს, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში არსებულმა ხარვეზებმა და ლაფსუსებმა განაპირობა საბაჟო სისტემის დეგრადაცია და დღის წესრიგში დასვა მისი შეცვლის აუცილებლობა. საბაჟო კოდექსის დახვეწისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მასში ყოველწლიურად ხორციელდებოდა ცვლილებები.

საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 25 ივლისს მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, რომლის მიზანს წარმოადგენდა:

- საბაჟო პროცედურების გამარტივება;
- იმ საკითხების დეტალური განსაზღვრა, რომლებიც ძველი კანონმდებლობით არ იყო ბოლომდე დარეგულირებული ან ექვემდებარებოდა ორმაგ ინტერპრეტაციას;
- ჰარმონიზაცია ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან.

საბაჟო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან აღსანიშნავია ის ცვლილებები, რომლებიც ეხება საბაჟო ბროკერის ლიცენზიის გაუქმებას, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდს, საბაჟო რეჟიმებსა და პროცედურებს. ახალი კანონმდებლობით შემოთავაზებულია საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის 6 მეთოდი, რომლებიც რეგულირდება მსოფლიო

სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის შემდგომ უპირატესი ძალა ენიჭება.

| საბაჟო რეჟიმები, რომლებიც დარჩა ახალ საბაჟო კოდექსში | რეჟიმები, რომლებიც გააღიებულია საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე | რეჟიმები, რომელთა შესაბამისი დებულებები ბაიჭყალა სხვადასხვა პროცედურებში |
|------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------|
| საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი);    | თავისუფალი ზონა;                                              | რეიმპორტი და დროებითი გატანა;                                            |
| საქონლის ტრანზიტი                                    | თავისუფალი საწყობი;                                           | უბაჟო ვაჭრობა;                                                           |
| საქონლის საბაჟო საწყობში შენახვა;                    | რეექსპორტი;                                                   | გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ.                                      |
| საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე;            | საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ;             |                                                                          |
| საქონლის დროებითი შემოტანა;                          | საქონლის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა.                    |                                                                          |
| საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ;       |                                                               |                                                                          |
| საქონლის ექსპორტი.                                   |                                                               |                                                                          |

აქვე აღსანიშნავია, რომ საბაჟო ორგანოს ფუნქციებს დაემატა ფიტო-სანიტარული, ვეტერინარული და სანიტარულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ვალდებულება, რამაც გარკვეულწილად გაამარტივა საბაჟო პროცედურები საზღვარზე.

**საქონლის შეფასების „სარეზერვო“ მეთოდი ფართოდაა გავრცელებული.** მეწარმეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სარეზერვო მეთოდის ხშირი გამოყენება ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულ უსამართლობას წარმოადგენს განბაჟების დროს. არსებული სისტემის თანახმად, რომელიც შესაბამისობაშია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებთან და პროცედურებთან, იმპორტირებული საქონლის ფასის დასადგენად საბაჟო მოხელეებს მოეთხოვებათ, გამოიყენონ 6 მეთოდი. თითოეული მეთოდი გამოიყენება, როდესაც წინა მეთოდით შეუძლებელია ფასის დადგენა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მომდევნო მეთოდის გამოყენება შეიძლება მაშინ, როდესაც საბაჟო მოხელეები ვერ განსაზღვრავენ საქონლის ღირებულებას წინა მეთოდის მიხედვით. მეექვსე მეთოდი ბოლო საშუალებაა საქონლის ღირებულების დასადგენად. თუმცა, საქართველოში საქონლის განბაჟება ძირითადად სარეზერვო მეთოდის გამოყენებით ხდება.

აღნიშნული მეთოდის მიხედვით, საქართველოში იმპორტირებული პროდუქტის საცალო ფასი განისაზღვრება არა ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, არამედ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით

განსაზღვრული სიით. მთავრობის მიერ დამტკიცებული ფასების სია გადაეცემა ყველა საბაჟო სამსახურს, თუმცა არ არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის. როგორც ჩანს, აღნიშნული სიის განახლება ყოველ სამ თვეში ეთხელ ხდება, მაგრამ გამოთვლის და ფასის დადგენის მეთოდები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

**საქონლის შეფასება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების მიხედვით უნდა მოხდეს.** მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება 1994 წლის GATT-ის მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ ადგენს, რომ საქონლის შეფასება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, უნდა ეფუძნებოდეს შესაფასებელი საქონლის ფაქტობრივ ღირებულებას, რაც, ჩვეულებრივ, ანგარიშ-ფაქტურაშია მითითებული. იმ შემთხვევაში, როდესაც ანგარიშ-ფაქტურაში არ არის მითითებული ღირებულება, ან როცა მოხელეს ეჭვი შეაქვს ამ ღირებულებაში, შეთანხმება ადგენს შეფასების 5 სხვადასხვა მეთოდს. როდესაც საბაჟო მოხელეს ეჭვი უჩნდება დეკლარირებული ღირებულების მართებულებაში, იმპორტიორს პირველ რიგში მოეთხოვება, წარმოადგინოს განმარტება, რომ დეკლარირებული ღირებულება არის ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი რეალური ღირებულება. თუ იმპორტიორი ვერ წარმოადგენს განმარტებას, საბაჟოს უფლება აქვს დაადგინოს, რომ საქონლის შეფასება შეუძლებელია გარიგების ფასის მეთოდით. ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული, საბაჟომ უნდა აცნობოს შეფასების მეთოდის გამოყენების მიზეზების შესახებ იმპორტიორს, რომელსაც, თავის მხრივ, პასუხის გასაცემად მიზანშეწონილი ვადები ეძლევა. გარდა ამისა, იმპორტიორს წერილობით უნდა ეცნობოს საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ.

**გასაჩივრების პროცესი არაეფექტურია.** საბაჟო მოხელეების წინააღმდეგ საჩივრები ნაკლებშედეგიანი და დამატებითი ხარჯების მომტანია, რის გამოც მეწარმეებს სტიმული ეკარგებათ საქმე სასამართლოში გაასაჩივრონ. იმპორტიორს, რომელიც არ ეთანხმება საბაჟო მოხელეს, უკვე საბაჟო ტერმინალში ექმნება პრობლემები, სადაც სადაო თანხის გადახდა/არგადახდის გარკვევამდე საქონელი დალუქულია. შენახვის ხარჯები კი ყოველდღიურად მატულობს, რაც გასაჩივრებისთვის კიდევ ერთ შემაფერხებელ გარემოებას ქმნის. საქმის მოგების შემთხვევაშიც კი, ხშირად საქონელი ფუჭდება და შემოსავლების სამსახური პასუხს არ აგებს იმ ზიანზე და დანაკარგზე, რომელიც ბიზნესსუბიექტს მიადგა საქმის გასაჩივრების გამო. ამდენად, იმპორტიორი იძულებულია დათანხმდეს და ხელი მოაწეროს დეკლარაციას, სადაც უკვე მითითებულია სარეზერვო ფასი. მას შემდეგ, რაც მოხდება ფასზე „შეთანხმება“ და იმპორტიორი ხელს მოაწერს დეკლარაციას, მომავალში გასაჩივრება რთული ხდება.

**კერძო სექტორს ნაკლებად მიეწოდება ადეკვატური ინფორმაცია.** კომპანიებისათვის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება საბაჟო და ზოგადად სავაჭრო პროცესების თაობაზე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. კანონმდებლობაში იმდენად ხშირია ცვლილებები, რომ ბიზნესერთეულები ვერ ახერხებენ მათთვის თვალის მიდევნებას. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა საწარმოს არ გააჩნიათ კვალიფიციური და კარგად ანაზღაურებადი კონსულტანტების დასაქირავებლად საკმარისი რესურსები, აშკარაა, რომ მეწარმეებისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს საკანონმდებლო სიახლეებთან შესაბამისობის მიღწევა.

### საგადასახადო ადმინისტრირება

გადასახადების ადმინისტრირება და გადახდის გამართული სისტემა ნებისმიერი ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. პირველი მცდელობა აღნიშნული სფეროს დარეგულირებისთვის იყო 1997 წლის 13 ივნისს მიღებული საგადასახადო კოდექსი, რომლითაც განისაზღვრა კანონის მოქმედების სფერო, გადასახადის სახეები და განაკვეთები, ასევე გადახდის პირობები და დეკლარირების ვადები, ღირებულების გადაჭრის პროცედურები და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისა და გადასახადის გადამხდელების უფლება-მოვალეობები. თუმცა, აღნიშნული საგადასახადო კოდექსით არ იყო გაწერილი, თუ რა ტიპის კონტროლისა და უზრუნველყოფის მექანიზმები არსებობდა გადამხდელის მიმართ. საგადასახადო კოდექსის დახვეწის აუცილებლობამ გამოიწვია არსებული კოდექსის ჯერ ცვლილება და შემდგომ მისი სრულად გაუქმება ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებით.

ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2005 წლის 1 იანვარს და მას შემდგომ მრავალი სახეცვლილება განიცადა. განხორციელებული ცვლილებების ძირითადი ნაწილი ეხებოდა გადასახადის სახეებისა და მათი განაკვეთების შემცირებას. ახალ კოდექსში დეტალურად გაიწერა გადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო ორგანოს წამომადგენლების უფლება-მოვალეობები, კონტროლისა და უზრუნველყოფის ღონისძიებები, გადასახადების ადმინისტრირების წესი და სხვ.

| გადასახადები და განაკვეთები<br>2005 წლის 1 იანვრამდე | გადასახადები და<br>განაკვეთები 2008 წლის<br>1 იანვრამდე | გადასახადები და<br>განაკვეთები 2008 წლიდან |
|------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|--------------------------------------------|
| საშემოსავლო გადასახადი – 12-20%                      | საშემოსავლო გადასახადი – 12%                            | საშემოსავლო გადასახადი – 20%               |
| მოგების გადასახადი – 20 %                            | მოგების გადასახადი – 20%                                | მოგების გადასახადი – 15%                   |
| სოციალური დაზღვევის გადასახადი – 31% + 1%            | სოციალური გადასახადი – 20%                              |                                            |
| დღგ – 20%                                            | დღგ – 18%                                               | დღგ – 18%                                  |

| აქციზი – დიფერენცირებული                                                                                            | აქციზი – დიფერენცირებული            | აქციზი – დიფერენცირებული            |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| ქონების გადასახადი – 0.1 - 1%                                                                                       | ქონების გადასახადი – არა უმეტეს 1%  | ქონების გადასახადი – არა უმეტეს 1%  |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეთა გადასახადი - დიფერენცირებული                                               | საბაჟო გადასახადი - დიფერენცირებული | საბაჟო გადასახადი - დიფერენცირებული |
| გადასახადი ქონების გადაცემისთვის                                                                                    | გაუქმებულია                         | გაუქმებულია                         |
| გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის                                                                     | გაუქმებულია                         | გაუქმებულია                         |
| გადასახადი მანქანების ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისთვის                                                        | გაუქმებულია                         | გაუქმებულია                         |
| გადასახადი საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისთვის და ზენორმატიული დატვითვისთვის - დიფერენცირებული | გაუქმებულია                         | გაუქმებულია                         |
| ფიქსირებული გადასახადი - დიფერენცირებული                                                                            | გაუქმებულია                         | გაუქმებულია                         |
| მცირე ბიზნესის გადასახადი – 5%                                                                                      | გაუქმებულია                         | გაუქმებულია                         |
| ადგილობრივი გადასახადი, რომელიც აერთიანებდა 7 გადასახადს - დიფერენცირებული                                          | გაუქმებულია                         | გაუქმებულია                         |

როგორც უკვე აღინიშნა ძველი, საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული 21 გადასახადიდან 2005 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსით დარჩა 6 გადასახადი. 2008 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა განახლებული განაკვეთები და ასევე შეიცვალა გადასახადის სახეები, კერძოდ კი ამოღებულ იქნა სოციალური გადასახადი, მოგების გადასახადის განაკვეთი 20 %-ის ნაცვლად გახდა 15%, ხოლო საშემოსავლო გადასახადი – 25 %. ამჟამად მოქმედი კოდექსით განსაზღვრულია 6 სახის გადასახადი, რომელთაგან 5 საერთო-სახელმწიფოებრივი ხასიათისაა, ხოლო დარჩენილი 1 კი - ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება.

| № | გადასახადის დასახელება | გადასახადის განაკვეთი | გადასახადის სახე          |
|---|------------------------|-----------------------|---------------------------|
| 1 | საშემოსავლო გადასახადი | 20%                   | საერთო - სახელმწიფოებრივი |
| 2 | მოგების გადასახადი     | 15%                   | საერთო - სახელმწიფოებრივი |
| 3 | აქციზი                 | დიფერენცირებული       | საერთო - სახელმწიფოებრივი |
| 4 | დღგ                    | 18%                   | საერთო - სახელმწიფოებრივი |
| 5 | საბაჟო გადასახადი      | დიფერენცირებული       | საერთო - სახელმწიფოებრივი |
| 6 | ქონების გადასახადი     | არა უმეტეს 1%         | ადგილობრივი               |

2004 წლის ბოლოს საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებით, ასევე აღნიშნულის შემდგომ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით გადასახადების ნაწილი მარტივდება და განაკვეთები სულ უფრო ლიბერალური ხდება, რასაც ვერ ვიტყვით ადმინისტრირების ნაწილზე. საგადასახადო კოდექსის ადმინისტრაციული ნაწილი ჯერ კიდევ საკმაოდ რთულად წაკითხვადი და აღქმადია მეწარმეთა მხრიდან. აქედან გამომდინარე, **ხშირია დავები მეწარმებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის**. მეწარმეთა დიდი ნაწილი დღეს არსებულ დავების მოგვარების სისტემას მოუქნელად მიიჩნევს და ნეგატიურად აფასებს, ვინაიდან დავების მოგვარების დროს გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ მიიღება.

შემოსავლების სამსახურის შექმნით ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავების გადაწყვეტის ერთი რგოლი ამოვარდა, ამიტომაც თუ ადრე არსებობდა სამსაფეხურიანი დავების გადაწყვეტის სისტემა იყო, ახლა – ორსაფეხურიანი. თუმცა, აუცილებელია ამ მიმართულებით გატარდეს დამატებითი ღონისძიებები და მოხდეს დავების განხილვის ეფექტიანი სისტემის ფორმირების უზურუნველყოფა.

**საგადასახადო გასაჩივრების პროცესი რეალურად არაეფექტურია.** ნიშანდობლივია, რომ საგადასახადო ადმინისტრირების შემოწმებისას, ჯარიმები წესდება იმავე მოხელეების მიერ, რომლებმაც ფაქტობრივად ჩაატარეს შემოწმება. როდესაც ბიზნეს-სუბიექტებს გასაჩივრების არჩევანი ჰქონდათ, მრავალი მათგანი არ იყო დარწმუნებული წარმატებაში, რადგან, როგორც წესი, საგადასახადო მოხელეთა გადაწყვეტილებები არ საჩივრდება უფრო მაღალ საგადასახადო ინსტანციებში ან სასამართლოში.

მეწარმეთა აზრით, პროცედურები და ვადები განზრახ შემცირებულია, რაც კომპანიებს უკარგავს სტიმულს და საშუალებას გაასაჩივრონ გადაწყვეტილება. არა მარტო საგადასახადო კოდექსი არამედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიც ადგენს მჭიდრო ვადებს, სადაც 2005 წელს არსებული ექვსთვიანი გასაჩივრების ვადა ერთ თვემდე შემცირდა. ამის შედეგად კომპანიებმა აღმოაჩინეს, რომ კიდრე ისინი საგადასახადო შემოწმების სტრუქტურებში თავიანთ უფლებებს იცავდნენ და ფინანსთა სამინისტროს მომდევნო ინსტანციაში გასაჩივრებას აპირებდნენ, ამასობაში სასამართლოში ერთთვიანი გასაჩივრების ვადა ამოიწურა. ამასთანავე, აშკარაა ინტერესთა კონფლიქტი გასაჩივრების პირველ ეტაპზე, როდესაც მათი საქმე გადაეცემა იმავე სააგენტოს, რომელმაც ჩაატარა შემოწმება და გასცა დაჯარიმების დადგენილება. მაშინაც კი, როდესაც ტექნიკური შეზღუდვები შემაფერხებელ გარემოებას არ წარმოადგენს, ბიზნეს-

სუბიექტები აცხადებენ, რომ მათი გამოცდილებით, მოსარჩელე შეიძლება დადგეს ფინანსური პოლიტიკის სავარაუდო შემოწმების საფრთხის წინაშე რაც ბიზნესისათვის არამომგებიანია.

საქართველოში მრავალრიცხოვანი საგადასახადო დავების განსახილველად ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა დავების მოგვარების საბჭო. მიუხედავად ამისა, სასამართლო სისტემა ამ დროისათვის ინარჩუნებს ყველა საგადასახადო სარჩელის მიღების ბოლო ინსტანციის სტატუსს. მეწარმეთა უმრავლესობა, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ, რომ განხილვის პროცესი ხანგრძლივი და ნაკლოვანია. ბიზნესთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებით კი ისეთები რომლებიც საგადასახადო ვალდებულებას ეხება, კერძოდ კი დღგ-ის ჩათვლა, პროცენტის დარიცხვა, ნებადართული გამოქვითვები, ამორტიზაცია და სხვა, საჭიროებს რთულ გაანგარიშებას და სათანადო გამოცდილებას. მოსამართლეების პროფესიონალიზმის დონე, ამ ასპექტების განხილვისას ყოველთვის არ არის დამაკმაყოფილებელი.

დამოუკიდებელი საგადასახადო არბიტრაჟის შემოღება გაზრდიდა ბიზნესის ნდობას საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის მიმართ. არსებულ საგადასახადო კოდექსს აქვს დამოუკიდებელი საგადასახადო არბიტრაჟის ხანმოკლე ისტორია, რომელიც მისი დანერგვიდან მალევე გაუქმდა. საქართველოში დიდი ხანია არსებობს დამოუკიდებელი და სპეციალიზებული საგადასახადო არბიტრაჟის ფუნქციონირების საჭიროება, ვინაიდან ბიზნესმა ნდობა დაკარგა სასამართლოს პროცედურების მიუკერძოებლობისა და დროულობის მიმართ. საგადასახადო არბიტრაჟი, რომელიც მთავრობისგან დამოუკიდებლად მოქმედებს, და ზრდის კერძო სექტორის ნდობას სამთავრობო პროცესების მიმართ და საგადასახადო მოხელეთა კომპეტენციას საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

**გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა** საგადასახადო ორგანოს მიერ სრულდება 3 თვის განმავლობაში, მაშინ, როდესაც საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნა გადასახადის გადამხდელის მიმართ უნდა შესრულდეს 20 დღის ვადაში. ამასთან, გადასახადის გადანდა საგადასახადო ორგანომ მაშინაც კი, როცა ის სადაოა. ანუ თუ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოსთან იწყებს დავას არასწორად დარიცხულ გადასახადზე, მან 20 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს დარიცხული გადასახადი, ხოლო მისი გამართლების შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ გადამხდელს უკანონოდ დარიცხული თანხა ზედმეტობაში უნდა დაუხვას/უნდა დაუბრუნოს 3 თვის განმავლობაში. აღნიშნული გადასახადის გადამხდელების აშკარა დისკრიმინაცია და ცივილურ მიდგომას საჭიროებს.

**ხშირი ცვლილებები ხელს უწყობს საგადასახადო კანონმდებლობის არასტაბილურობას.** ახალი საგადასახადო კოდექსში 2005 წლის იანვრიდან დღემდე წლის მარტის ჩათვლით 40-ზე მეტი

ცვლილება განხორციელდა, რომლებიც 160 მუხლზე მეტს შეეხო. ეს ცვლილებები, ერთი შეხედვით, ნაკლებია ადრინდელ მაჩვენებლებთან შედარებით – წინა საგადასახადო კოდექსში 2003 და 2004 წლებში 45 და 61 ცვლილება შევიდა. მცირე საწარმოები, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა, იქირაონ კვალიფიციური საგადასახადო კონსულტანტები, ვერ ახერხებენ სიახლეების გაცნობასა და ცვლილებებზე დაკვირვებას. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ არასტაბილურობა საგადასახადო კოდექსთან მიმართებაში მთავარ პრობლემას წარმოადგენს ბიზნესისათვის.

ევროკავშირის ქვეყნებში საგადასახადო ცვლილებები, მიუხედავად მიღების თარიღისა, ტრადიციულად წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ხორციელდება. ეს საკმარის დროს აძლევს საგადასახადო ორგანოებს სპეციალური ინსტრუქციების გამოსაცემად, ხოლო ბიზნესმენს – კანონმდებლობის გასაცნობად, აღნიშნული სიახლის პრაქტიკული გავლენის განსახილველად და ახალი რეჟიმის მოსამზადებლად. პროგნოზირებად საგადასახადო რეჟიმს აქვს დადებითი ზეგავლენა როგორც ბიზნესზე, ისე საგადასახადო ინსპექტორებზე. ზოგადად, სტაბილური საგადასახადო კანონმდებლობა კერძო სექტორს უმცირებს მოთხოვნების შესრულების ხარჯებს. სახელმწიფოს შეუძლია დაარეგულიროს ცვლილებები, რომლებიც შეიძლება ძალაში შევიდეს მხოლოდ მომდევნო ფისკალურ წელს, მიღებიდან არანაკლებ 3 თვის ვადაში.

**საგადასახადო კოდექსი ბუნდოვანი და გართულებულია** მეწარმეთა დიდი ნაწილისათვის საგადასახადო კოდექსი იმდენად ბუნდოვანია, რომ ზოგჯერ საგადასახადო ინსპექტორები აწყდებიან სირთულეებს მისი დებულებების ინტერპრეტაციის დროს. როგორც ბიზნეს-წარმომადგენლები აღნიშნავენ, ეს ხელსაყრელია საგადასახადო მოხელეებისათვის, ვინაიდან ისინი ამ ბუნდოვანებას ყოველთვის თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ.

საგადასახადო კანონმდებლობა საკმაოდ რთული წასაკითხია. საგადასახადო კანონმდებლობის უკეთ გაგების მიზნით თითქმის ყველა ქვეყანაში ხელისუფლება გამოსცემს სპეციალურ ინსტრუქციებს, სადაც ახსნილია, თუ როგორ უნდა წარადგინოს გადასახადის გადამხდელმა დეკლარაცია, როგორ შეავსოს ფორმები, გამოთვალოს დასაბეგრი ბაზა, გამოქვითოს და დაგეგმოს გადახდები. მრავალი ბიზნესერთეული და საგადასახადო ექსპერტი თანხმდება, რომ საგადასახადო სამსახურების მიერ გამოცემულ ინსტრუქციებში, ხშირ შემთხვევაში ახსნილი არ არის საგადასახადო კოდექსის ბუნდოვანი პუნქტები.

**დღეს სისტემა რეალურად მოთხოვნების შესრულების წახალისების ნაცვლად, დაჯარიმებაზეა ორიენტირებული.** ბიზნესგარემოს და საწარმოთა საქმიანობის შეფასების კვლევის მიხედვით 2002–2005 წლებში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის საქართველოში კორუფციის

ყველაზე სერიოზული შემცირება აღინიშნა. სამსახურიდან დათხოვნის შიში და სახელმწიფოს მტკიცე პოზიცია კორუფციასთან ბრძოლაში ეფექტური გამოდგა. თუმცა, ახალი კულტურა, რომელიც მრავალ ფისკალურ დაწესებულებაში ინერგება, პირველ ყოვლისა მიმართულია უფრო ბიზნესისაგან მაქსიმალური თანხების გამოძალვაზე, ვიდრე მოთხოვნების ნებაყოფლობითი შესრულების წახალისებაზე. მსგავსად შემოსავლების სამსახურში საბაჟო საკითხებთან დაკავშირებით არსებული პრობლემებისა, ხელისუფლების მიერ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტენდენცია შეიძლება კიდევ ერთი მტკიცებულება იყოს იმ არსებული პრაქტიკისა, როდესაც უწყებას გააჩნია შემოსავლების შეგროვების თვითონ გეგმა, რომლის შეუსრულებლობაც სამსახურიდან დათხოვნის ან დისკვალიფიკაციის მიზეზი შეიძლება გახდეს. მეორე მხრივ, საკმაოდ ლიბერალური საგადასახადო კოდექსი ასევე მკაცრია მათ მიმართ, ვინც დამრღვევად მიიჩნევა.

**ჯარიმის ოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს დარღვევის მასშტაბზე** გადასახადებით დაბეგვრის სისტემა ჯარიმების ნაცვლად მოთხოვნების შესრულებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს დამოკიდებული დარღვევის მასშტაბზე. მაგალითად, დეკლარაციის არასწორად შევსებისათვის ჯარიმა 200 ლარია, კომპანიის ზომის ან ბრუნვის მიუხედავად.

ამასთან, გადასახადების გადახდისა და ადმინისტრირების გამარტივების მიზნით კარგი იქნება დაინერგოს **გადასახადების გადახდისა და ანგარიშსწორების ელექტრონული ფორმის** გამოყენების მექანიზმი. მაგრამ იმისათვის, რომ აღნიშნული საქმიანობა მიჩნეულ იქნეს იურიდიული ძალის მქონედ, საჭიროა არსებობდეს კანონი „ელექტრონული ხელმოწერის“ შესახებ, რომელიც აღნიშნულ პროცესს დაარეგულირებს.

## მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა – საერთაშორისო ბამოცდილება

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება და განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებობს მრავალი სახელმწიფო და საერთაშორისო პროექტები და პროგრამები ამ მიმართულებით. მრავალ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერ პროექტებსა და პროგრამებს ახორციელებენ სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები ერთობლივად. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში (UNDP) ხორციელდება მრავალი მსგავსი ტიპის ინიციატივა. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მრავალ ქვეყანაში შეიქმნა ბიზნეს ცენტრები, ბიზნეს ინკუბატორები, მოხდა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების დაკავშირება მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებთან.

### ბულგარეთი

ბულგარეთში შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, 2000-2003 წლებში განხორციელდა მასშტაბური ინიციატივა, JOBS (Job Opportunities through Business Support). პროექტის მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ერთიანი ქსელი ბულგარეთის მასშტაბით, სადაც გაერთიანდა 24 ბიზნეს ცენტრი, მათ შორის 11 ბიზნესინკუბატორი და 3 ბიზნეს საინფორმაციო ცენტრი.

პროექტის ფარგლებში მოხდა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, მათ შორის დამწყები ბიზნესმენებისათვის ტრენინგების ჩატარება ბიზნესის დაწყებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. ასევე ქსელის კონსულტანტების მიერ მუდმივად ტარდებოდა კონსულტაციები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის. ქსელის საქმიანობების ძირითადი მიზნობრივი აუდიტორიას წარმოადგენდნენ მცირე და საშუალო ბიზნესის სხვადასხვა სექტორების წარმომადგენლები. აღნიშნული სექტორებია:

- ტანსაცმლისა და ქსოვილების წარმოება;
- მცენარეული საშუალებებისა და სუნელების წარმოება;
- ტურიზმი;

- ალტერნატიული სოფლის მეურნეობა.

ქსელის ფარგლებში ასევე მოხდა საწარმოებისთვის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე კომპიუტერული უნარებისა და პროგრამების სწავლება.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა 8000 გრძელვადიანი სამუშაო ადგილი, ტრენინგი ჩაუტარდა და კონსულტაცია გაეწია 7000-ზე მეტ ბიზნესს, ასევე მოხდა მცირე და საშუალო ბიზნესებზე თანხების გაცემა ლიზინგის სქემის მიხედვით. გაცემული თანხის ოდენობამ შეადგინა 1,5 მილიონი დოლარი 300 კომპანიისათვის, აქედან კომპანიების 40% წარმოადგენდა დამწყებ ბიზნესებს.

### ყაზახეთი

ყაზახეთში მუდმივად ხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროექტები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა ატირაუს ბიზნეს მრჩეველთა ცენტრი და მიკრო-კრედიტის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ტრენინგების ჩატარებასა და კონსულტაციების გაწევას კრედიტის აღების პროცედურებთან და პირობებთან მიმართებაში.

ინიციატივა განხორციელებულ იქნა მთავრობისა და გაეროს განვითარების ფონდის მიერ, ასევე მათ ჰყავდათ პარტნიორი კერძო კომპანიები ChevronTexaco-სა და Citibank-ის სახით.

პროექტის ფარგლებში, პირველი ეტაპზე მოხდა ბიზნესის განვითარების ცენტრის დაარსება. შემდგომში ცენტრის მიერ შემოშავებული იქნა პილოტური მიკრო-კრედიტის სქემა. შემდეგ ეტაპზე ჩამოყალიბდა ბიზნესინკუბატორი და დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარება და კონსულტაციების გაწევა.

პროექტის ფარგლებში დაიწერება ასობით ბიზნეს-გეგმა, რომელთაგან საშუალოდ 25 % დაფინანსდა და მიიღო მიკრო-სესხი, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები.

მექსიკა

მექსიკაში მრავალი წელია ფუნქციონირებს მწარმოებელთა ეროვნული ასოციაცია, ე.წ. Canacintra, რომელიც მუდმივად ახორციელებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ პროექტებსა და პროგრამებს, მთავრობასთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობით. მწარმოებელთა ეროვნულ ასოციაციას აქვს საკმაოდ განვითარებული ქსელი მთელი მექსიკის მასშტაბით.

პროექტის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გაეროს განვითარების პროგრამამ და მსვილმა კერძო კომანიებმა, როგორიცაა Bimbo, Comentos Apasco, Firestone, 3M, Corporation International del Color და Cerveceria Cuauhtemoc Moctezuma.

პროექტის სახელწოდებაა „მექსიკის მხარდამჭერის ჯაჭვური პროექტი: მომწოდებლების ტრენინგი და ჯაჭვური ურთიერთობის წახალისება“. პროექტი ითვალისწინებდა განვითარების ქსელის შექმნას, რომელშიც ჩართული იყვნენ მომწოდებლების კონსულტანტები, რომლებიც მუშაობდნენ მცირე და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლებთან ერთად ინდივიდუალურად და უწევდნენ მათ საჭიროებებზე დაფუძნებულ კონსულტაციებს.

თავდაპირველად პარტნიორი კერძო კომპანიების პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოხდა სტრატეგიისა და მეთოდოლოგიების შემუშავება, შემდეგ მოხდა ქსელის კონსულტანტებისთვის ტრენინგების ჩატარება და მათი სერტიფიცირება. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო უკვე მეორე ფაზა, როდესაც ამუშავდა ქსელი და დაიწყო აქტიური იონდივიდუალური კონსულტაციები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის.

ანგოლა

მთავრობის მიერ ანგოლაში განხორციელდა ძალზედ ეფექტიანი ინიციატივა, რომელიც მდგომარეობდა ანგოლის სამეწარმეო ფონდის დაფუძნებაში. ფონდი დაფუძნდა როგორც საზოგადოებრივი კერძო თანამშრომლობა და მისი მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა მთელი ანგოლის მასშტაბით. პროექტის ძირითადი კომპონენტები იყო: ბიზნესმხარდამჭერი ცენტრებისა და ბიზნესინკუბატორების შექმნა, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარება და მიკრო-სესხების გაცემა.

ინიციატივა განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამასთან და ChevronTexaco-სთან თანამშრომლობით. ფონდის საქმიანობაში ჩართულები იყვნენ ანგოლის არასამთავრობო ორგანიზაციები და ასევე სხვადასხვა მსხვილი კერძო კომპანიები.

პროექტის შედეგად დაფუძნდა მრავალი მცირე და საშუალო ბიზნესი, ასევე არსებული ბიზნესებისთვის ჩატარდა ტრენინგები ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობებზე, შემუშავდა ბიზნესგეგმები ფონდის კონსულტანტების მონაწილეობით და მოხდა მიკრო-სესხების გაცემა.

### აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის მთავრობა მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროგრამებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით. 2002-2005 წლებში აზერბაიჯანის მთავრობის მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებასა და მათთვის საკანონდებლო ბარიერების შემცირებას. ცვლილებები შევიდა ბიზნესის მარეგულირებელ კანონებში როგორიცაა: „კანონი მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ და „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონი“.

სახელმწიფოს მიერ ხორციელდება ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა ეროვნული ფონდის მიერ, რომელიც არის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება. ეროვნული ფონდი თანამშრომლობს 35 ბანკთან, რომლებიც გასცემენ კრედიტებს მცირე და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლებზე.

2008 წელს აზერბაიჯანში შემუშავდა ახალი პროგრამა ბიზნესის მხარდაჭერისთვის, რომელიც მოიცავს 2008-2013 წლების პერიოდს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხდება ინოვაციური ბიზნესის წახალისები, მხარდაჭერა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში.

აზერბაიჯანის ეკონომიკის სამინისტროში დაარსდა ბიზნესის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივად ახორციელებს მიზნობრივ პროგრამებს მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის.

### სომხეთი

უკანასკნელი წლების მანძილზე მცირე და საშუალო ბიზნესი სომხეთის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა. სომხეთის მთავრობას

სპეციალურად შემუშავებული აქვს „სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიის კონცეფცია“. აღნიშნული კონცეფცია მთავრობის მიერ შემუშავდა 2000 წელს და საკმაოდ წარმატებულად ხორციელდება. დოკუმენტში წარმოდგენილია სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მიზნები, რომლებიც მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისაკენ.

სომხეთში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სისტემა სომხეთში ძირითადად შედგება სახელმწიფო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან.

*სახელმწიფო ორგანიზაციები* – ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებასა და განვითარების სტრატეგიისა კონცეფციის მომზადებაზე;

*არასამთავრობო ორგანიზაციები* – ფონდი „სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეროვნული ცენტრი“, ბიზნესგანვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები არასამთავრობო, როგორცაა, კომერციისა და ინდუსტრიის საბჭო RA, ასევე ბიზნეს გაერთიანებები/ასოციაციები. არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების ინტერესებს, ახდენენ მათ ლობირებას სახელმწიფო ორგანიზაციებში და ასევე მონაწილეობას იღებენ მცირე და საშუალო ბიზნესებზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელებასა და მონიტორინგში.

აზერბაიჯანში ასევე არსებობს მრავალი ბიზნესმხარდამჭერი ცენტრი, რომლებიც ბიზნესის წარმომადგენლებს აწვდიან სხვადასხვა ტიპის მომსახურებას.

## უკრაინა

უკრაინაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მიმართული პროგრამები ხორციელდება როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით. ევროკომისიის მიერ 1996 წლიდან მუდმივად ხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების განვითარების მხარდამჭერი საერთაშორისო პროგრამა.

2007 წელს უკრაინის სახელმწიფო კომიტეტის ინიციატივით დაიწყო „უკრაინული მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების განვითარების საერთაშორისო

მხარდაჭერის პროექტი“. პროექტის ფარგლებში აქცენტი კეთდება უკრაინის ისეთ რეგიონებზე როგორიცაა: კიევი, ლვოვი, ხარკოვი, ოდესა, დონეცკი და დნიპროპეტროვსკში.

პროექტი მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ისეთ სექტორებში როგორიცაა კომპიუტერული მომსახურება, ხისა და ავეჯის წარმოება, მანქანა/დანადგარების წარმოება და სხვ.

ამჟამად ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში უკრანაში შექმნილია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2007-2013. სტრატეგია ითავლისწინებს ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის განვითარებისა და გაუმჯობესების ხელშეწყობას, რაც გულისხმობს ქვეყნის შიდა და საგარეო პრიორიტეტების განვითარებას.

### თურქეთი

თურქეთში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით მუშაობს მრავალი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაცია. მნიშვნელოვანია სახელმწიფო დაგეგმარების ორგანიზაციის სექრეტარიარი (SPO), რომელიც მუშაობს გრძელვადიანი განვითარების პროგრამებზე, ამზადებს წლიურ ანგარიშებს და კოორდინაციას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მიმართულ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროცესში აქტიურადაა ჩართული ინდუსტრიისა და ვაჭრობის სამინისტრო, რომელიც განსაზღვრავს და ახორციელებს პოლიტიკას მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულებით მასზე დაქვემდებარებული ასოციაციის KOSGEB-ის მეშვეობით.

თურქეთში არსებობს სხვადასხვა მსხვილი ბიზნესორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ მცირე და საშუალო ბიზნესებს და ეხმარებიან მათ განვითარებაში. ასეთია მაგალითად კომერციის, ინდუსტრიის, საზღვაო ვაჭრობისა და სხვა პალატები.

## საქართველოში მიმდინარე სახელმწიფო რეფორმების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე


მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები უშუალოდ დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოზე. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ქვეყანაში განვითარებულმა პროცესებმა, ქართული ბიზნესგარემო სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა. კორუფციამ, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, კონკურენციის არათანაბარმა პირობებმა, ენერგორესურსების ღირებულებამ, არაეფექტურმა სასამართლო სისტემამ, ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალმა დონემ, სამეწარმეო საქმიანობაში არსებულმა გართულებულმა რეგულირებებმა და მრავალმა სხვა პრობლემამ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას მკვეთრად შეუშალა ხელი.


2003 წლიდან საქართველოს მთავრობა აქტიურად ახორციელებს რეფორმებს საქართველოში ბიზნეს-გარემოს წახალისების მიზნით. შედეგად არსებული მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. 2008 წელს საქართველომ მე-18 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის (მან უკან ჩამოიტოვა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა თურქეთი, ზერბაიჯანი, რუსეთი), ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით, 2009 წელს კი მე-15 ადგილზე დაწინაურდა:

### საქართველოს შედარება სხვადასხვა ქვეყნებთან

#### 2008 წელი

ქვეყნები ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობის მიხედვით



**2009 წელი****ქვეყნები ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობის მიხედვით**

ეს განპირობებული იყო იმ რეფორმების მასშტაბურობით, რომელსაც წინა პერიოდებში ჰქონდა საქართველოში ადგილი და დღესაც გრძელდება. საქართველო 2008 წელს გატარებული რეფორმებით მსოფლიოში მე-5 ადგილი დაიკავა (ათეული ასე გამოიყურება: ეგვიპტე, ხორვატია, განა, მაკედონია, საქართველო, კოლუმბია, საუდის არაბეთი, კენია, ჩინეთი, ბულგარეთი).

საქართველოში რეფორმები 6 მიმართულებით გატარდა:

1. ბიზნესის დაწყება;
2. ლიცენზიების გაცემა,
3. კრედიტების მიღება;
4. სკუთრების რეგისტრაცია;
5. ინვესტორების დაცვა;
6. ბიზნესის დახურვა.

შედეგად, გაუმჯობესდა ბიზნესგარემო, გამარტივდა ბიზნესის დაწყება, საკუთრების რეგისტრაცია, ლიცენზიების გაცემა, კრედიტის მიღება და ა.შ. თუმცა 2009 წლისთვის კვლავ პრობლემად რჩება საგადასახადო კოდექსის სრულყოფა, რომელმაც კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოს ბიზნესგარემო. ქვემოთ ნაჩვენებია 2009 წლის მდგომარეობით ბიზნესგარემოს მაჩვენებლების შეფასება:


| ბიზნეს ბარემოს მახასიათებლები      | 2009 წლის რეიტინგი |
|------------------------------------|--------------------|
| ბიზნესის კეთების სიმარტივე         | 15                 |
| ბიზნესის დაწყება                   | 4                  |
| სამშენებლო ნებართვებთან გამკლავება | 10                 |
| დაქირავებული მუშახელი              | 5                  |
| საკუთრების რეგისტრაცია             | 2                  |
| კრედიტის აღება                     | 28                 |
| ინვესტორების უსაფრთხოება           | 38                 |
| გადასახადების გადახდა              | 110                |
| საზღვრებს გარეთ ვაჭრობა            | 81                 |
| კონტრაქტების განხორციელება         | 43                 |
| ბიზნესის დახურვა                   | 92                 |

ცხრილის მარცხენა სვეტში მოცემულია მაჩვენებლები, რომელიც ბიზნესგარემოს ახასიათებენ, მარჯვენა მხარეს კი რეიტინგი, რომელიც ახასიათებს თუ მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის მერამდენე ადგილზეა საქართველო ამა თუ იმ მაჩვენებლის მიხედვით.

საქართველოში 2003 წლიდან მიმდინარეობს რეფორმები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესგარემოს განვითარებას, ამ რეფორმების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მცირე და საშუალო სექტორის მხარდაჭერა. 2003-2004 წლებში ბიზნესის კეთების მთავარი შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენდა მაღალი დანახარჯები, ბიუროკრატიული ბარიერები, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტები იყო ანტიკორუფციული რეფორმების გატარება, ინვესტორების მოზიდვა, ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის რეგულირება. პირველი რეფორმები ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად 2004 წელს განხორციელდა, როდესაც მთავრობამ გამოსცა ახალი საგადასახადო კოდექსი.

მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, ამ პერიოდში კვლავ არსებობდა მნიშვნელოვანი ბარიერები, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას აფერხებდა. ყველაზე რთულ პროდუცტურებად გადასახადებთან და ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული საკითხები გამოვლინდა.

### პრობლემური და რთული პროცესები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის



ამან გამოიწვია, ის რომ

1. მცირე და საშუალო ბიზნესის მოცულობა 2002 წლიდან 2004 წლამდე მხოლოდ 2%-ით გაიზარდა; მათგან 2/3-მა ინვესტიცია 2003 წლის შემდეგ განახორციელა.
2. მცირე და საშუალო ბიზნესზე GDP-ის მხოლოდ 10% მოდიოდა, მაშინ როდესაც ევროპის და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 60 %-ს აღწევს


განვიხილოთ ზემოთ აღნიშნული ბარიერები და ის რეფორმები, რაც გატარდა ამ სფეროებში:

### საქართველოს საგადასახადო სისტემა

საგადასახადო სისტემა ყველაზე პრობლემატურ საკითხად აღიქმებოდა 2004 წლამდე (მიუხედავად იმისა რომ საკმაოდ რეფორმები გატარდა ამ მიმართულებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღესაც საგადასახადო გარემოს მიხედვით, საქართველოს ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს). გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების 80 % მას ყველაზე რთულ ბარიერად მიიჩნევდა.

## გადასახადებთან დაკავშირებული პრობლემები ძველი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად

### ახალი საგადასახადო კოდექსი



ამან წარმოშვა იმის აუცილებლობა, რომ გატარებულიყო რეფორმა ამ მიმართულებით. 2004 წლის დეკემბერში შემუშავდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში 2005 წლის 1-ელი იანვრიდან შევიდა; 2007 წლის 1-ელი იანვრიდან კი ახალი საბაჟო კოდექსი შევიდა ძალაში. ახალი კოდექსის მიზნები შემდეგნაირია:

1. **ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა** - დიდი გადასახადების მინიმალური რაოდენობით და დაბალი საგადასახადო განაკვეთებით.
2. **სტაბილური საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა** - ლეგალური საქმიანობის ხელშეწყობით და ლიბერალური ეკონომიკის პრინციპების დანერგვით
3. **ლეგალური ბიზნესის ხელშეწყობა** - ძლიერი და მოქნილი მექანიზმის გამოყენებით, გადასახადების არაკეთილსინდისიერი გადამხდელების იდენტიფიცირება.
4. **გადასახადების გადახდის მაღალი კულტურის უზრუნველყოფა** - ადმინისტრაციული მექანიზმის გამარტივებით და გადასახადების გადამხდელთა მხარდაჭერით.

ახალი საგადასახადო და საბაჟო კოდექსები უფრო ლიბერალური და მოქნილია. საგადასახადო კოდექსში 21 სახის გადასახადიდან მხოლოდ 6 სახის გადასახადია დარჩენილი. რაც შეეხება ახალ საბაჟო კოდექსს, მან მნიშვნელოვნად გაამარტივა ვაჭრობის პროცესიც რაც განპირობებულია იმით რომ თუ ძველი კოდექსით საბაჟოზე საჭირო იყო 15 პროცედურის გავლა, ახალი კანონმდებლობით, ეს ციფრი 7-მდე შემცირდა.

საგადასახადო კოდექსში იგეგმება ცვლილებების შეტანა, რომელმაც კიდევ უფრო უნდა სრულყოს საგადასახადო გარემო საქართველოში, კერძოდ:

1. საშემოსავლო გადასახადი 2013 წლამდე ყოველწლიურად შემცირდება, მანამ სანამ არ მიაღწევს 15%-ს (2009 წლისთვის ეს მაჩვენებელი 20% -ის ტოლია)
2. საშემოსავლო გადასახადი საპროცენტო სარგებლიდან და დივიდენდებიდან შემცირდება ყოველწლიურად, მანამ სანამ, 2012 წლისთვის არ მიაღწევს 0%.

### ექსპორტ - იმპორტი

2004 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების 12% ჩართული იყო იმპორტში, ექსპორტში კი მხოლოდ 4%. მთავარი პრობლემა ამ მხრივ იყო მაღალი საბაჟო გადასახადი, ინფორმაციის არ ქონა, საბაჟოზე პროცედურების კომპლექსურობა და სირთულე.

### ბარიერები იმპორტირებისთვის

რამდენი რესპოდენტი მიიჩნევს მოცემულ ბარიერებს რთულად




ამან უბიძგა ხელისუფლებას ახალი საბაჟო კანონმდებლობის შესადგენად. ახალი საბაჟო კოდექსი 2007 წლის იანვარში შევიდა ძალაში, მან მნიშვნელოვნად გაამარტივა ვაჭრობის პროცესი რაც განპირობებულია იმით რომ თუ ძველი კოდექსით საბაჟოზე საჭირო იყო 15 პროცედურის გავლა, ახალი კანონმდებლობით ეს ციფრი 7-მდე შემცირდა.

## ლიცენზირება

მცირე და საშუალო კომპანიების დიდი ნაწილი (43 %) ლიცენზირებისას დიდ პრობლემებს აწყდებოდა. რაც განპირობებული იყო: ლიცენზიების განახლების სისშირესთან, მაღალ დანახარჯებთან, ინფორმაციის არ ქონასთან, მოთხოვნილი დოკუმენტების დიდ რიცხვთან, დიდ დროთ დანახარჯებთან ლიცენზიის მრავალ სახეობასთან და სხვა:


### ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები



## ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

ბანკები უყენებდნენ მაღალ მოთხოვნებს მსესხებლებს და საპროცენტო განაკვეთებიც იყო საკმაოდ მაღალი:

## სერთიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები



როგორ დიაგრამიდან ჩანს, ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა განპირობებული იყო:

1. ინფორმაციის სიმწირით;
2. პროცედურის დროში გაწედილობით;
3. პროცედურების ცვლილებების სიხშირით;
4. საჭირო დოკუმენტების დიდი რაოდენობით;
5. მაღალი დანახარჯებით;
6. სხვადასხვა სერთიფიკაციების მიღების საჭიროებით.


2000 წლიდან 2004 წლამდე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 36%-დან 19%-მდე შემცირდა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო კრედიტების მოცულობის ზრდას და სახსრების განთავსებას რეალურ ეკონომიკაში, შედეგად ფინანსები უფო ხელმისაწვდომი გახდა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

საქართველოში 2008 წელს ჩატარებული სტატისტიკური კვლევების შედეგად საქართველოში კომპანიების უმრავლესობას ბიზნესის განვითარების მთავარ პრობლემად მიაჩნია

1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;

2. პოლიტიკური არასტაბილურობა;
3. ენერგომატარებლები;
4. საგადასახადო განაკვეთები;
5. არაფორმალური სექტორის არსებობა;
6. კორუფცია;
7. არაკვალიფიციური მუშახელი;
8. საგადასახადო რეგულირება;
9. საბაჟო და სავაჭრო რეგულირება.

### კომპანიების აზრით ბიზნესის ხელისშემშლელი პრობლემები



კერძოდ, მცირე კომპანიებს, ბიზნესის შემაფერხებელ მთავარ ფაქტორად მიაჩნიათ:

- 1) ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
- 2) ენერგომატარებლები;
- 3) პოლიტიკური არასტაბილურობა.

საშუალო სიდიდის კომპანიებს კი:

- 1) პოლიტიკური არასტაბილურობა;
- 2) არაფორმალური სექტორის განვითარება;
- 3) ენერგომატარებლები.

მცირე და საშუალო საწარმოების 8%-მა აღნიშნა რომ მათ საქმიანობას არაფერი არ უშლის ხელს, 18 %-მა კი უარი განაცხადა პასუხზე, სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები კი ასე გადანაწილდა:

| რიგითობა | ფაქტორები, რომლებიც აფერხებს ბიზნესის განვითარებას                         |
|----------|----------------------------------------------------------------------------|
| 1        | ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა                       |
| 2        | ფინანსური ბაზრის განუვითარებლობა და საწარმოთა აქტივობის დაბალი ლიკვიდურობა |
| 3        | საბანკო კრედიტის რთული ხელმისაწვდომობა                                     |
| 4        | საბანკო კრედიტის მაღალი საპროცენტო განაკვეთი                               |
| 5        | საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა                                      |
| 6        | გადასახადების მაღალი განაკვეთები                                           |
| 7        | კორუფცია                                                                   |
| 8        | შიდა ბაზრის კონტრაბანდისგან დაუცველობა                                     |
| 9        | ბაზრის დაუცველობა ფალსიფიცირებული პროდუქციისგან                            |
| 10       | საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მომატება                                |
| 11       | მმართველობის და მაკონტროლებელი ორგანოების ბიზნესში ზედმეტი ჩარევა          |
| 12       | წარმოებული საქონლის/მომსახურების დაბალი კონკურენცია                        |
| 13       | სხვა                                                                       |

სახელმწიფოს მხრიდან პერიოდულად ხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროექტები და პროგრამები. აღნიშნული პროგრამები ხშირ შემთხვევაში მიმართულია კონკრეტული ბიზნესსექტორის განვითარებისა და წახალისებისაკენ. თუმცა მუდმივად ტარდება რეფორმები, რაც ხელს უწყობს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას და ბიზნესისთვის ბარიერების შემცირებას.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №110 დადგენილებით დამტკიცებული იქნა პროგრამა „დასაქმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით“. პროგრამა მიზნად ისახავდა მოსახლეობის დასაქმების ზრდის ხელშეწყობას რეგიონალური ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერისა და ეკონომიკური საქმიანობის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით. პროგრამის ბენეფიციარებს წამოადგენდნენ ტურიზმის ბიზნესში დაკავებული და აგრეთვე აღნიშნულ სექტორში ბიზნესის დაწყების მსურველი მცირე და საშუალო საწარმოები. ბენეფიციარმა მცირე და საშუალო საწარმოებმა, პროგრამის პარტნიორი კომერციული ბანკის მიერ სახელწიფო ბიუჯეტიდან სესხად მიიღეს შეღავათიანი კრედიტები ტურისტული ინფრასტრუქტურის (სასტუმრო სახლების, აგრო ტურიზმის, კვების ობიექტებისა და სხა.) განვითარებისა და ტურისტულ ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობების სტიმულირებისათვის. პროგრამის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებამ შეადგინა 5 500 000 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, საიდანაც 5 (ხუთი) მილიონი ლარი სესხის სახით გამოეყო პარტნიორ კომერციულ ბანკს, ხოლო 500 (ხუთასი) ათასი ლარი მოხმარდა პროგრამის საწყის ეტაპზე საკოორდინაციო, მარკეტინგულ, საინფორმაციო და სატრენინგო ხარჯების დაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი საკრედიტო რესურსების საერთო მოცულობის 20 % გაიცა დამწყებ ბიზნესზე. პარტნიორი კომერციული ბანკის მიერ სესხის გაცემა მოხდა შემდეგი პირობებით: კრედიტის ვადა არაუმეტეს 5 (ხუთი) წლისა, სარგებლის განაკვეთი – წლიური 12 (თორმეტი) პროცენტი, საშეღავათო პერიოდი – არაუმეტეს 1 წელი, სესხის მაქსიმალური მოცულობა 50 000 (ორმაცდა ათი ათასი) ლარი. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 985 ადამიანმა. აქედან პარტნიორი ბანკის მიერ დაფინანსებული იქნა 94 მეწარმე.

ასევე მნიშვნელოვანი დასაქმების პროგრამა განახორციელა თბილისი მერიამ სახელწოდებით „დაიწყო ბიზნესი ქ. თბილისის მერიის დახმარებით“. ამ პროგრამაში ქ. თბილისი მერიას პარტნიორობას უწევდნენ ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო, USAID-ის მცირე ბიზნესის ხელშეწყობი პროექტი, ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველო და საქართველოს საინვესტიციო სააგენტო. პროგრამა მოიცავდა სამ ფაზას:

#### პირველი ფაზა:

- პროექტის პრეზენტაცია;

- განაცხადების მიღება;
- ტრენინგების მონაწილეთა შერჩევა;

#### მეორე ფაზა:

- ტრენინგები და ჯგუფური კონსულტაციები;
- პროექტების მომზადება და ინდივიდუალური კონსულტაციები;
- პროექტების შერჩევა დასაფინანსებლად;

#### მესამე ფაზა:

- მეწარმეთა რეგისტრაცია;
- დაფინანსების მიღება;
- ბიზნესკონსულტაციები;

პირველი ფაზაში მონაწილეობა მიიღო 668 ადამიანმა. გასაუბრებისთვის შეირჩა 610, ხოლო გასაუბრების შემდეგ მერიის მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარა 500 ადამიანმა.

ტრენინგების ჩატარებასა და ორგანიზებას ახორციელებდნენ ESM-იდან, კავკასიის ბიზნეს სკოლისა და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციიდან წინასწარ შერჩეული პრაქტიკოსი ტრენერები.

საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს ბიზნესგარემოზე მარეგულირებელი კანონმდებლობის გავლების შეფასების (RIA) სისტემის დანერგვა. აღნიშნული შეფასება მოიცავს ბიზნესზე კანონმდებლობის წნეხის გაზომვას, კვლევებს, ფოკუს ჯგუფებს, ბიზნესებზე დაკვირვებას. შეფასების მიზანია გაიზომოს ბიზნესზე მარეგულირებელი კანონმდებლობის ზეწოლის ხარისხი და მაქსიმალურად შემცირდეს ბიზნესსექტორზე სახელმწიფოს მხრიდან მიმართული წნეხი.

RIA მეთოდოლოგია დანერგილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, არსებობს ასევე სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების მიერ შემუშავებული სქემები და მოდელები აღნიშნული შეფასების განხორციელებისათვის.

სამეწარმეო გარემოს შეფასების ამოცანები მოიცავს:

- კანონპროექტების ექსპერტიზა, მარეგულირებელ გარემოზე ზემოქმედების კუთხით;
- შემოთავაზებული მარეგულირებელი ნორმების შეფასებას,
- ხარჯ-სარგებლის ანალიზის;
- ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზი;
- კერძო სექტორისათვის მარეგულირებელ ნორმასთან შესაბამისობის ხარჯების შეფასება;
- რისკების შეფასება.

აღნიშნული რეფორმის პროცესში ეკონომიკის სამინისტრო თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან USAID, IFC, WORLD BANK და სხვა.

## საერთაშორისო პროგრამები და პროექტები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის

განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ქვეყნის სამომავლო ეკონომიკური ზრდის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენენ საქართველოს აქტიური კომპანიების 97%-ს, მაგრამ მათი წვლილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში ძალზე დაბალია (საქართველოში ეს მაჩვენებელი 10%-ს შეადგენს). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა მარეგულირებელი და შემოწმების სისტემების გასაუმჯობესებლად კვლავაც საჭიროა აღნიშნული სისტემის დახვეწა და გამარტივება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მიმართულია საქართველოს ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებასა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე. ბევრი ტექნიკური დაფინანსების პროგრამა, რომელიც დაფინანსდა ისეთი საერთაშორისო დონორების მიერ, როგორიცაა the World Bank, Tacis, USAID and EBRD, ABCO Georgia, გახდა საფოკუსო წერტილი პირველადი ინფორმაციით საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმირებისთვის.

მსოფლიო ბანკის 2009 წლის მონაცემებით საქართველო, განხორციელებული რეფორმებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის საფუძველზე, იქცა „ბიზნესმეგობრულ“ ქვეყანად.

### USAID

90-იან წლებში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს USAID-მა და სხვა დონორმა ორგანიზაციებმა. ამ პერიოდში USAID ორიენტირებული იყო სხვადასხვა სადაზღვევო რეფორმებზე, რომლის მიზანი იყო ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ხელშეწყობად USAID-ის პროგრამები მიზნად ისახავს გააძლიეროს ინსტიტუციური და ადამიანური რესურსები როგორც სამთავრობო სააგენტოებში, ასევე კერძო სექტორში. მისი მიზანია გაუმჯობესდეს ბიზნესგარემო კომერციულ სამართალში ცვლილებების შეტანით და საგადასახადო და საბაჟო სისტემების

რეფორმებით. USAID-ის დახმარება საქართველოში აგრეთვე მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის და ზოგადად კერძო სექტორის კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაუმჯობესებას, ქართული საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და სოფლად მცხოვრები საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებას.

### ABCO Georgia

საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია ABCO Georgia შეიქმნა და ფუნქციონირებს 2001 წლის ოქტომბრიდან. მისი ძირითადი მიზნებია:

- ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირება საქართველოს მასშტაბით;
- საქართველოს ბიზნესორგანიზაციებისთვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევა;
- კერძო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მასშტაბით.

ABCO-Georgia-ამ სხვა წევრ ორგანიზაციებთან ერთად ბოლო პერიოდში მრავალი პროექტი განახორციელა საქართველოში, მათ შორისაა მსოფლიო ტრენინგი განვითარებაში, რომლის სპონსორი იყო USAID-საგანმანათლებლო განვითარების აკადემიასთან (AED) ერთად. პროექტი მოიცავდა სამცხე-ჯავახეთის და გურიის რეგიონებს, რომლის ფარგლებში 500 ადგილობრივ ფერმერსა და კერძო მეწარმეს ჩაუტარდა ტრენინგი თანამედროვე ბიზნესის სხვადასხვა სახეობის წარმართვასთან დაკავშირებით. ტრენინგების პროგრამა სარგებლობდა საერთაშორისო საქველმოქმედო მართლმადიდებლური ეკლესიის (IOCC) საკრედიტო ხაზით.

2002 წელს ასოციაციამ ჩაატარა ტრენინგების ორი სესია ბიზნესის დაგეგმვასა და მარკეტინგულ და ფინანსურ დაგეგმვაში ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში მიგრაციის მსოფლიო ორგანიზაციის (IOM) მიერ საფინანსო პროგრამის ფარგლებში.

2002 წელს ABCO-Georgia-მ განახორციელა „ტრენინგებისა და კონსულტაციის“ პროგრამა უმუშევარი ადამიანებისთვის, როგორც ერთ-ერთი მიმართულება სახელმწიფო პროგრამისა „დროებითი და მუდმივი დასაქმების შესახებ“.

პროექტმა მიცვა 234 რეგისტრირებული უმუშევარი ადამიანი, რომელთაც შემდგომ ჩაუტარდათ ტრენინგი და გაეწიათ კონსულტაცია ბიზნესდაგეგმვასთან დაკავშირებით. პროექტის შედეგად მონაწილეებმა წარადგინეს 110 ბიზნესგეგმა, 52-მა ადამიანმა მიიღო ბანკის სესხი და დაიწყო საკუთარი ბიზნესი. ტრენინგებისა და კონსულტაციის პროგრამა მიბმული იყო საქართველოს ბანკის საკრედიტო ხაზთან.

2002 წელს ABCO-Georgia-მ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) დაფინანსებით, ხელი შეუწყო ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრების შექმნას ქვემო ქართლში – რუსთავის ბიზნეს ცენტრი (ქ. რუსთავში) და მარნეულის ბიზნეს ცენტრი (ქ. მარნეულში) ისევე როგორც ფონდის (OSGF) მხარდაჭერით. ახალქალაქის ბიზნეს ცენტრი–სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სოროსის

2003 წელს კვლავ ჩატარდა ტრენინგებისა და კონსულტაციების პროგრამა უმუშევრებისთვის, რომელმაც მოიცვა 452 ადამიანი. სათანადო ტრენინგების ჩატარების შემდეგ 208 მონაწილემ წარმოადგინა ბიზნესგეგმა, რომელთაგან 98-მა მიიღო საბანკო სესხი და დაიწყო საკუთარი ბიზნესი. ამავე დროს კონსულტაცია გაეწია იმ მეწარმეებს, რომლებიც ამზადებდნენ ბიზნესგეგმას „უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ეს პროექტიც განხორციელდა საქართველოს ბანკის საკრედიტო ხაზით.

2003 წელს მსოფლიო ბანკის ჩარჩო პროგრამის „საირიგაციო პროექტის“ ფარგლებში ასოციაციამ განახორციელა ტრენინგების სერია სოფლის მეურნეობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის, ფინანსური მენეჯმენტისა და აღრიცხვის შესახებ. პროექტმა მოიცვა საქართველოს მთელი ტერიტორია.

2003-2004 წელს ასოციაციამ განახორციელა მარტივი კრედიტების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც კერძო კომპანიების დიდ ნაწილს გორის რეგიონში ჩაუტარდა ტრენინგი და ინდივიდუალური კონსულტაცია, რათა სწორად გამოეყენებინათ კრედიტის მიღების შესაძლებლობა და გაეძლიერებინათ კრედიტის მართვის მექანიზმი. ამ 9 თვიანი პროექტის ორგანიზატორი და დამფინანსებელი იყო ევრაზიის ფონდი.

2004 წელს ასოციაციამ ჩაატარა ტრენინგების 7 კურსი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ბიზნეს დაგეგმვას, მარკეტინგულ და ფინანსურ დაგეგმვაში

თბილისში, კახეთში, გორსა და ახალციხეში GCMI- ის ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფარგლებში.

2004 წელს ასოციაციამ განახორციელა ტრენერების გადამზადების პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმეების ტრენინგების“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა OSCE და TZ მიერ. ჩარჩო პროგრამის ფარგლებში OSCE -გან მიღებული ტრენინგის მასალები გადაითარგმნა ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე და მორგებულ იქნა ქართულ რეალობას. ტრენინგის პროგრამა გამიზნული იყო მარნეულისა და რუსთავის ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრების პერსონალისთვის.

2004 წელს ABCO-Georgia მ განახორციელა მსესხებელთა ტრენინგების კურსი USAID ფონდის მიერ საქართველოში ენერგო უსაფრთხოების ინიციატივის პროექტის ფარგლებში, რომელსაც საქართველოში ხელმძღვანელობდა PA Consulting Group. პროექტი იკვლევდა კერძო ბიზნესის ზრდის შესაძლებლობებს და მეწარმეების კრედიტუნარიანობას საქართველოს რეგიონების მიხედვით და მიზნად ისახავდა დახმარებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ფინანსების მობილიზებაში საკუთარი ბიზნესშესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. პროექტის ფარგლებში ABCO-Georgia-ს ევალებოდა ჩაეტარებინა ტრენინგები ადგილობრივი მეწარმეებისთვის. საკრედიტო მოთხოვნების საერთო ღირებულებამ შეადგინა 2 962 139 000 აშშ დოლარი, რომელიც პროექტის ფარგლებში დაკმაყოფილდა.

2004/2005 წლებში ABCO-Georgia-მ Winrock International-თან ერთად განახორციელა პროექტი ენერგო ეფექტიანობაში მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის საკითხებზე. პროექტი დაფინანსდა IFC მიერ ბიზნესგარემოს ფინანსური პროგრამის (EBFP) ფარგლებში.

2005-2006 წლებში ABCO-Georgia-მ ამერიკის ურბანულ ორგანიზაციასთან ერთად განახორციელა „ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის“ პროგრამა, როგორც ერთ-ერთი მიმართულება პროექტისა "Communities Empowered for Local Decision-making" (CELD). ამ პროექტში ABCO-Georgia –ს მოვალეობა იყო რეკომენდაციების მომზადება ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ABCO-Georgia-მ გამოსცა ცნობარი "Doing Business in Georgia",

2006 წელს საქართველოში ეუთოს მისიის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის (OSCE) გრანტის საფუძველზე ABCO-

Georgia-ამ განხორციელა „ახალგაზრდული ბიზნესის განვითარების“ პროექტი. პროექტი განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და მისი მიზანი იყო ადგილობრივ ახალგაზრდებში ბიზნესის განვითარების შესაძლებლობის გაზრდა

2006 წელს ABCO-Georgia-მ CARE Caucasus-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო „საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის“ განხორციელებაში, რომლის მიზანი იყო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ზრდა BTC -ის ქვეყნებში (ბაქო, თბილისი ჯეიჰანი)

აგრეთვე, საქართველოს ბიზნესსაკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია – ABCO Georgia თანამშრომლობს პროგრამასთან „ენერგეტიკის განვითარება სოფლად“ ბიზნესგეგმების შედგენისა და ბიზნესის საფუძვლების სასემინარო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების სფეროში. პროექტის ფარგლებში მომზადებული ბიზნესგეგმების საფუძველზე მცირე ჰიდროელექტროსადგურების მფლობელებს საშუალება მოეზიდათ დაფინანსება კომერციული ბანკებიდან, დონორი ორგანიზაციებისგან და ინვესტორებისგან.

### მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ბარიერების შემცირების პროექტი

თბილისში 2006 წლის 13 აპრილს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) და bp-იმ, ორმა უმსხვილესმა ინვესტორმა საქართველოს ეკონომიკაში, დაიწყეს საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ბარიერების შემცირების პროექტი, რომლის მიზანი იყო გაუმჯობესებინა ბიზნესგარემო ქვეყანაში.

IFC-ს მიერ განხორციელებული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ბარიერების შემცირების პროექტი გათვლილი იყო სამ წელზე და წარმოადგენდა 1,5 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ინიციატივას, სადაც bp-სა და ნავთობისა და გაზის სფეროში მისი პარტნიორების წვლილი რეგიონალური განვითარების ინიციატივის ფარგლებში 750 000 აშშ დოლარს შეადგენდა. IFC წვლილი 500 000 აშშ დოლარს, ხოლო კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსი (CIDA) 250 000 აშშ დოლარს შეადგენს.

პროექტი ორიენტირებული იყო შემოწმებასა და ნებართვის/ლიცენზიების გაცემის სისტემაზე, რათა განხორციელებულიყო შემდეგი ამოცანები:

- ბიზნესისთვის რეგულირების ტვირთის შემცირება.

პროექტს უშუალოდ უნდა ეთანამშრომლა პოლიტიკურ მარეგულირებელ ორგანოებთან ბიზნესის შემოწმების და ნებართვის/ლიცენზიების გაცემის გასაუმჯობესებლად მათი შესაბამისობაში მოყვანით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან. პოლიტიკური ორგანიზაციები თავის მხრივ, მაგალითს მისცემდნენ სხვა ორგანიზაციებს პროცედურების ეფექტიანობისა და გამჭვირვალების გაზრდისათვის. პროექტს კონსულტაციები უნდა გაეწია მარეგულირებელი ორგანოებისთვის და ცაეტარებინა სემინარები,

- **მსს-ებისთვის ბიზნესგარემოს მონიტორინგი და მსს-ების კვლევა.**

პროექტს უნდა განეხორციელებინა ბიზნესგარემოს მონიტორინგი საქართველოში ბიზნესის მფლობელთა პირდაპირი კვლევის საშუალებით, რათა განსაზღვრულიყო სექტორის მიმდინარე მდგომარეობა და გამოვლენილიყო მსს-ების განვითარების შემაფერხებელი ბარიერები. კვლევის ანგარიში იქნებოდა გარკვეული რეკომენდაცია მთავრობისთვის ბიზნესზე ადმინისტრაციული რეფორმის გავლენის შესაფასებლად.

- **მსს-ებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.**

პროექტს უნდა შეემუშავებინა და გამოექვეყნებინა გამარტივებული მასალა, რომელიც დახმარებას გაუწევდა მცირე და საშუალო საწარმოებს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესების შესრულების თვალსაზრისით. პროექტს უნდა ემუშავა მცირე და საშუალო ბიზნესის უკეთ ინფორმირებაზე მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და ხელი შეეწყო შემოწმების პროცედურებისა და ლიცენზირების/ნებართვების მიღების პროცესის გაუმჯობესებისთვის.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) წარმოადგენს კერძო სექტორის დაფინანსების დარგში მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრს. IFC-ს მისიას წარმოადგენს სიცოცხლისუნარიანი ინვესტიციების ხელშეწყობა განვითარებადი ქვეყნების კერძო სექტორში სიღარიბის დასაძლევად და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია აფინანსებს კერძო სექტორის ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებში, ახდენს კაპიტალის მობლიზაციას საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე, ეხმარება კლიენტებს გააუმჯობესონ სოციალური და გარემო პირობები, ტექნიკურ დახმარებას და რეკომენდაციებს აწვდის მთავრობებს და ბიზნესსუბიექტებს.

## მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი

საქართველოში 2005 წლის 7 დეკემბერს აშშ საერთაშორისო განვითარების პროგრამის (USAID) ფარგლებში ოფიციალურად დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ოთხწლიანი პროექტი, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსი (IESC) ახორციელებს საქართველოში. ამ პროექტის მიზანია ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. პროექტი ხელს უწყობს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას მრავალმხრივი საქმიანობის განხორციელებით და მომსახურების მიწოდებით, სამუშაო შეხვედრების ჩატარებით და ტექნიკური დახმარებით (კონსულტაციები და რეკომენდაციები), რომელსაც პროექტის თანამშრომლები, მოხალისეები და კონსულტანტები უწევენ მეწარმეებს. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, პროექტი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ძირითად საქმიანობებზე: ტურიზმის განვითარება, დახმარება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით; ბიზნესსაოციაციებისთვის დახმარების გაწევა; ეკონომიკის განვითარება მეწარმეობის და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით; ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კონსულტაციების გაწევის მიზნით; სამეწარმეო საქმიანობის შემდგომი განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით; მეწარმეობის განვითარება საქართველოს რეგონებში; ტრენინგები სამეწარმეო საქმიანობის უნარის განვითარებაზე.

თბილისში 2009 წლის 11 მარტს, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსმა გამოაცხადა გრანტების საკონკურსო პროგრამის VI რაუნდი. გრანტების დაფინანსება ხორციელდებოდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ უცხოური დახმარების შესახებ აქტის საფუძველზე და განიხილება, როგორც საქართველოს კერძო სექტორის განვითარებისათვის გათვალისწინებული დახმარება. გრანტების საკონკურსო პროგრამის VI რაუნდის ამოცანას წარმოადგენდა პირველადი ინფრასტრუქტურისა და სამუშაო ადგილების შექმნას აგვისტოს მოვლენების შემდეგ ახლადშექმნილ სოფლებში. საკონკურსო გრანტების ეს რაუნდი გულისხმობდა ისეთი ინიციატივებისა და პროექტების განხორციელებას, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირებს რეინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესს შეუწყობდა ხელს.

## ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველო

2004 წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების დასახმარებლად შეუძღვა სრულიად ახალი მექანიზმი. აშშ-მ დაარსდა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია და შერჩეულ ქვეყნებში შეიქმნა სპეციალური რგოლები, რომლებიც კოორდინაციას უწევენ საქმიანობებს.

2004 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ დაარსა ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. 2005 წლის აგვისტოში საქართველომ მოიპოვა 295,3 მილიონი აშშ დოლარი გრანტი ხუთწლიანი პროგრამის განსახორციელებლად. 2008 წელს საქართველომ მიიღო კიდევ დამატებითი 100 მილიონი დოლარი, რის შედეგადაც ფონდი ათასწლეულის გამოწვევის თანხა 395,3 მილიონამდე გაიზარდა. პროექტის ვადა იწურება 2011 წელს.

ათასწლეულის ფონდი თანამშრომლობს სხვადასხვა დონორ ორგანიზაციასთან, მათ შორისაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, (BP), ევროკომისია, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და სხვ.

საქართველოს ათასწლეულის პროგრამას აქვს რამდენიმე პრიორიტეტი, მათ შორისაა აგრობიზნესის განვითარების პროექტი. აღნიშნული პროექტის მიზანია არსებული წვრილი ფერმერული მეურნეობის გარდაქმნა მომგებიან აგრობიზნესებად, რაც ხელს შეუწყობს რეგიონებში აგრობიზნესის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

პროექტის ფარგლებში გაიცემა გრანტები, თანადაფინანსების პრინციპით, პირველადი წარმოების, ფერმერთა მომსახურების ცენტრების, მცირე გადამამუშავებელი საწარმოების და უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის განვითარებისათვის საქართველოს ნებისმიერ რეგიონში.

გრანტები გაიცემა შემდეგი ტიპის საქმიანობების დასაფინანსებლად:

- პირველადი წარმოება;
- ფერმერთა მომსახურების ცენტრის შექმნა;
- მცირე გადამამუშავება;
- საწარმოო ჯაჭვის შექმნა;

**პირველადი წარმოება** – გრანტის თანხის მაქსიმალური ოდენობაა 50,000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთი – 1:0.5 (ყოველი \$1 გრანტის მისაღებად ფერმერმა უნდა წარმოადგინოს \$0.5 თანადაფინანსება). პირველადი წარმოების პროექტის ტიპური მაგალითია –სანერგე მეურნეობა, მეცხოველეობის ფერმა, საფუტკრე მეურნეობა და ა.შ.

**ფერმერთა მომსახურების ცენტრის შექმნა** – ფერმერთა მომსახურების ცენტრი ერთგვარი აგრონომიული მაღაზიაა, სადაც ფერმერს შესაძლებლობა ექნება შეიძინოს საჭირო სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებები (სათესლე-სარგავი მასალა, სასუქი, შხამ-ქიმიკატები), მიიღოს კონსულტაციები ან ისარგებლოს აგროტექნიკის მომსახურებით. გრანტის თანხის მაქსიმალური ოდენობა 50,000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთი – 1:0.75 (ყოველი \$1 გრანტის მისაღებად ფერმერმა უნდა წარმოადგინოს \$07.5 თანადაფინანსება).

**მცირე გადამუშავება** – გრანტის თანხის მაქსიმალური ოდენობა 50,000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთი – 1:1 (ყოველი \$1 გრანტის მისაღებად ფერმერმა უნდა წარმოადგინოს \$1 თანადაფინანსება). მცირე გადამამუშავებელი საწარმოს ტიპური მაგალითია – რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხანა, მცირე საკონსერვო წარმოება და ა.შ.

**საწარმოო ჯაჭვის შექმნა** – სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანის, შენახვის, გადამამუშავების, მისთვის სასაქონლო სახის მიცემისა და ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის დამკვიდრების მიზნით. გრანტის თანხის მაქსიმალური ოდენობა 150,000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთი 1:1 (ყოველი \$1 გრანტის მისაღებად ფერმერმა უნდა წარმოადგინოს \$1 თანადაფინანსება). საწარმოო ჯაჭვური პროექტის ტიპური მაგალითია – საშუალო ზომის რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხანა, საკონსერვო წარმოება საკუთარი შემგროვებელი ცენტრებით, სადაც ხდება მცირე ფერმერთაგან მიღებული ნედლეულის კონსოლიდაცია, გადამამუშავება, დაფასოება და რეალიზაცია.

## საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და განვითარების შეზღუდვა


სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ საქართველოში პროექტებსა და პროგრამებს და ასევე ზომავენ შედეგებს. ტარდება სხვადასხვა ტიპის კვლევები საქართველოს ბიზნეს გარემოს შესაფასებლად საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ **Doing Business 2009** არის მეექვსე იმ ყოველწლიური ანგარიშების რიგში, რომლებიც იკვლევენ ბიზნეს – საქმიანობის ზრდის რეგულირებას. მისი საშუალებით შეიძლება შევადაროთ 181 ქვეყნის მაჩვენებლები, დაწყებული ავღანეთიდან დამთავრებული ზიმბაბუეში.

ანგარიში იხილავს ბიზნესის რეგულირების 10 მხარეს:

1. ბიზნესის დაწყება;
2. ურთიერთობები სამშენებლო სფეროსთან;
3. დასაქმება;
4. საკუთრების რეგისტრაცია;
5. კრედიტის აღება;
6. ინვესტიციების უსაფრთხოება
7. გადასახადების აკრავის ორგანიზაცია
8. სავაჭრო ბარიერები
9. კონტრაქტების გაფორმება
10. ბიზნესის დახურვა/ლიკვიდაცია.

ამ ინდიკატორების საფუძველზე განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და მისი ადგილი საუკეთესო გამოცდილების მქონე ქვეყნებს შორის. საქართველო 181 ქვეყანას შორის მე-15 ადგილზეა, მაშინ როცა 2008 წლის მონაცემებით ის მხოლოდ მე-18 ადგილს იკავებდა

### ქვეყნები ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობის მიხედვით



## 1. ბიზნესის დაწყება

როცა მეწარმე შეადგენს ბიზნეს გეგმას და გადაწყვეტს საქმის დაწყებას, პირველი დაბრკოლება, რომელსაც ის ხვდება, არის ახალი ფირმის რეგისტრაციის პროცედურა. ქვეყნების ეკონომიკა განსხვავდება იმის და მიხედვით თუ რამდენად ადვილია ახალ ბიზნესში შესვლა. როდესაც პროცედურა არის ძალიან რთული, მეწარმეები მიმართავენ მოსყიდვის გზას, რათა დააჩქარონ ეს პროცედურა, ან წარმართონ ბიზნესი არაფორმალურად. ბიზნესის დაწყების თარიღი დამოკიდებულია გამოკვლევის შედეგების ანგარიშზე და იმ პროცედურებზე, რომლის შესრულებაც სავალდებულოა მცირე და საშუალო ზომის ფირმებისათვის სანამ დაიწყებს ლეგალურად საქმიანობას. ეს მოიცავს ყველა საჭირო ნებართვისა და ლიცენზიის მიღებას, მოთხოვნილი დოკუმენტაციის შევსებას, ხელისუფლების ორგანოების ინფორმირებას და მათგან ნებართვის მიღებას საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებით. დრო და ფასი ყველა საჭირო ოპერაციისთვის წინასწარ არის განსაზღვრული, რათა მეწარმე იყოს თავიდანე ინფორმირებული და გამოირიცხოს კორუფციის შესაძლებლობა სახელმწიფო და საგადასახადო მოხელეებს შორის. აქვე განსაზღვრულია ბიზნესის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმები.

რეგისტრაციის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. სარეგისტრაციო შენატანის გადახდა;
2. კომპანიის დარეგისტრირება სამეწარმეო რეესტრში და საიდენტიფიკაციო ნომრისა და მოწმობის მიღება; საგადასახადო რეგისტრაცია;
3. კორპორაციული ანგარიშის გახსნა ბანკში.

## 2. ურთიერთობა სამშენებლო სექტორთან

ბიზნესის რეგისტრაციის შემდეგ მეწარმეს უხდება ყურადღების მიმართვა სამშენებლო სექტორისკენ, რომელიც განიცდის ზეწოლას, ერთის მხრივ, მთავრობისგან მეთვალყურეობისა და ლიცენზირების სახით, და მეორეს მხრივ, მომხმარებლისგან, რომელიც დაინტერესებულია ხარისხით. სამშენებლო სექტორთან ურთიერთობა ითვალისწინებს ყველა საჭირო პროცედურის რეგისტრაციას, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული ობიექტის მშენებლობას. ის მოიცავს შემდეგ დოკუმენტაციას: შენობის გეგმას, სამშენებლო ადგილის

რუკას, აგრეთვე ის მოიცავს პროცედურებს კომუნალურ მომსახურებასთან დაკავშირებით: ელექტროენერგია, ტელეფონი, წყალი და სხვა.

### 3. დასაქმება.

ეკონომიკაში მომუშავეთა უფლებების დაცვის მიზნით ხდება კანონების შემუშავება სხვადასხვა ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყონ მოსახლეობა ცხოვრების მინიმალური პირობებით. ამ სისტემის ძირითადი ელემენტებია: საქმიანობა, სამრეწველო ურთიერთობები, სოციალური დაცვა და პროფესიული სიჯანსაღე და უსაფრთხოების ნორმები, ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა გამოიხატება დამსაქმებლებსა და მომუშავეებს შორის ურთიერთობების მოგვარებაში, რათა არ მოხდეს დაქირავებულთა დისკრიმინაცია.

### 4. საკუთრების რეგისტრაცია

ფორმალური საკუთრების უფლება ეხმარება მეწარმეს მიწის გადაცემის საკითხებში, ახალისებს ინვესტირებას, ზრდის მეწარმისთვის ფორმალური საკრედიტო საშუალებების ხელმისაწვდომობას. არაოფიციალური უფლება ზღუდავს სესხების ხელმისაწვდომობას და აფერხებს ბიზნესის განვითარებას. ეფექტური საკუთრების რეგისტრაციის სისტემა ამცირებს კორუფციის ხარისხს ქვეყანაში. საკუთრების რეგისტრაციის პროცესის დროს გასათვალისწინებელია:

- პროცედურების რაოდენობა;
- რეგისტრაციისთვის საჭირო დრო;
- ოფიციალური გადასახადი საკუთრების რეგისტრაციისთვის;

### 5. კრედიტის მიღება

კრედიტის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს ფირმების განვითარებისა და ზრდისათვის. იურიდიული უფლებების სიძლიერის ინდექსი ზომავს ხარისხს, რომლითაც გაკოტრებისა და შესაღარისობის კანონები იცავენ მსესხებლებისა და კრედიტორების უფლებებს.

### 6. ინვესტორების დაცვა

კომპანიებს შეუძლიათ გაზარდონ კაპიტალი ბანკის სესხით ან კერძო ინვესტორების დახმარებით. გასათვალისწინებელია, რომ ინვესტორი

დაინტერესებულია კომპანიის წარმატებით და ნაფარაუდვეი მოგების მიღებით, შესაბამისად ქვეყნის ბიზნეს-გარემოს მნიშვნელობა ინვესტირების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაში 73% სწორედ ბიზნეს-კონტექსტზეა დამოკიდებული.

## 7. გადასახადების აკრეფის ორგანიზაცია

გადასახადები არის გარდაუვალი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რადგან მის გარეშე შეუძლებელია საჭირო სახსრების მობილიზება საზოგადოებრივი მომსახურების გასაწევად. ანგარიში მოიცავს იმ ეფექტიანი გადასახადების ჩამონათვალს, რომლის გადახდაც ევალება მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. რეკომენდირებულია ამ გადასახადების გადახედვა და შემცირება, შესაძლებლობების ფარგლებში, მინიმალურ დონემდე. ეს ინდიკატორი მოიცავს:

- გადასახადების რაოდენობა, გადასახადების ამოღების მეთოდები და სიხშირე;
- დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს გადასახადების დაფარვა.
- გადასახადების საერთო ღირებულება, ეს ითვალისწინებს გადასახადებისა და სავალდებულო შენატანების ჯამურ ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება პროცენტის სახით საერთო მოგებიდან.

## 8. სავაჭრო ბარიერები.

ფირმის მოგებაზე დიდ გავლენას ახდენს ტარიფები, ქვოტები და სხვადასხვა სავაჭრო შეზღუდვები პროდუქციაზე ფასების ზრდის გამო. გლობალური და რეგიონალური სავაჭრო შეთანხმებები ამცირებენ სავაჭრო ბარიერებს. მაგალითად, არსებობს პროცედურული მოთხოვნები სტანდარტული საქონლის გადაზიდვასთან დაკავშირებით. ყველა პროცედურა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დრო და ფასი, საქონლის იმპორტირებისა და ექსპორტირების დროს თავიდანვე არის განსაზღვრული: დაწესებული შეთანხმების გაფორმებით ორ მხარეს შორის, დამთავრებული საქონლის მიწოდებით. იმპორტის განხორციელების არეალი

განისაზღვრება პორტიდან გემის გამოსვლიდან, მის ჩასვლამდე იმპორტიორის სასაწყობო ობიექტში. ხოლო ექსპორტის განხორციელების არეალი იწყება საქონლის შეფუთვით დასრულებიდან მისი გადაადგილებით პორტის ფარგლებს გრეთ.

## **9. საკონტრაქტო დავები.**

ბიზნესის განხორციელებაზე დიდ გავლენას ახდენს სასამართლო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კომერციული დავების მოგვარებას ადგილობრივი სასამართლოების საშუალებით. კამათი გამოხატავს ურთიერთობას მყიდველსა და გამყიდველს შორის საქონლის რეალიზაციისას. გამყიდველი, როგორც წესი ითხოვს ძვირს, მყიდველს კი არ აკმაყოფილებს ხარისხი, ამ დროს ერევა სასამართლო, რომელიც ცდილობს ამ სავაჭრო ურთიერთობების მოგვარებას.

## **10. ბიზნესის დახურვა/ლიკვიდაცია.**

ზემოთ განხილული ბიზნესის წარმართვის ინდიკატორები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ამა თუ იმ ბიზნესის სუსტი მხარეები და ფირმის გაკოტრების მიზეზები. ბევრ განვითარებად ქვეყანაში ბანკროტობა არის იმდენად უუნარო, რომ კომპანიები იშვიათად იყენებენ მას. ასეთ ქვეყნებში რეკომენდირებულია რეფორმების გატარება საკონტრაქტო ძალადობის შესამცირებლად. ბიზნესის ლიკვიდაცია მოითხოვს თანმიმდევრული პროცედურების შესრულებას.